



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზათი №2. თებერვალი. 2015.

8 თებერვალი - მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღე

9 თებერვალს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ინტელექტუალური ტიპის თამაში — „რა? სად? როდის?“ პროექტის მიზანია საქართველოს ისტორიის პოპულარიზაცია მოსწავლეებში, ცოდნისა და ცნობიერების გაღრმავება, ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გამოვლინება. პროექტის მრავალწლიანმა გამოცდილებამ ცხადყო აღნიშნული ღონისძიების წარმატება და დაინტერესება მოსწავლეებში, რასაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად იზრდება. წელს ინტე-



ტურმანიძე (სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი). ჟიურის შეფასებით პირველი ადგილი დაიკავა მეთხუთმეტე საჯარო სკოლის გუნდმა „გლადიატორი“, მეორე ადგილი პირველი საჯარო სკოლის გუნდმა „პირველები“, ხოლო მესამე ადგილი კი მეშვიდე საჯარო სკოლის გუნდ „პეტრა“ს ერგო. ინტელექტუალური თამაშის მონაწილე ყველა სკოლას



გადაეცა მონაწილეობის სერტიფიკატი. ხოლო გამარჯვებული გუნდები მხარდაჭერებისგან დაჯილდოვდნენ ნიგნებითა და ფასიანი საჩუქრებით. ასევე პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელი გუნდები ერთდღიანი ისტორიულ-მემკვიდრეობით ტურით ქალაქ ქუთაისში წაიყვანა, სადაც მონაწილეებზე გელათის, ბაგრატიის და მონათმშენებლის ტაძრებს.

ღონისძიების მხარდაჭერები იყვნენ ბათუმის ბოტანიკური ბაღი, კინო-თეატრი აპოლო-ბათუმი, ბათუმის ავტოტრანსპორტი, თვითმმართველი ქ. ბათუმის საკრებულო, ნიკო ბერძენიშვილს სახელობის კვლევითი ინსტიტუტი, სტუდენტთა მხარდაჭერის და მომსახურების სამსახური და სტუდენტური თვითმმართველობა.

გვანცა თურმანიძე
სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი



ახალგაზრდობის გიორგი ხვასიბაძის საჯარო ლექცია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვეციანიძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექცია წაიკითხა აგრობიოლოგიის დარგის სიახლეებსა და აქტუალურ საკითხებზე. მომსწინებელმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორ-მასწავლებლებსა და მკვლევარებს საერთაშორისო სამეცნიერო პროექტები: „ბიოეთანოლი, როგორც ბიოსანვაი“, „ცილის პროდუქტის წარმოება“ და „სიმინდის სპირტის წარმოება“ წარუდგინა. ლექცია დიალოგის რეჟიმში წარიმართა და აკადემიკოსმა გიორგი კვეციანიძემ შეკითხვებს უპასუხა.



ხრიმინალისტიკის სასწავლო აბინებ-ლაბორატორია გაიხსნა



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან კრიმინალისტიკის სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორია გაიხსნა. სასწავლო-პრაქტიკული სამუშაოები წარიმართება კრიმინალისტიკური ტექნიკის ძირითად მიმართულებაში - ტრასოლოგიაში (მოძღვრება კვალთა შესახებ). ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები დაეუფლებიან ხილვადი, ნაკლებად ხილვადი და უხილავი კვალის აღმოჩენის, კვალის ფიქსირების, ამოღების, შეფუთვის, მის პროცესუალურ გაფორმებისა და გამოკვლევის უნარ-ჩვევებს. სასწავლო პროცესში გამოიყენება მეთოდი „სწავლება კეთებით“. კრიმინალისტიკის სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიის ბაზაზე ასევე განხორციელდება ორი მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა: ჟურნალისტიკური გამოძიება და დეტექტივ-კრიმინალისტიკა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან კრიმინალისტიკის სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორია გაიხსნა. სასწავლო-პრაქტიკული სამუშაოები წარიმართება კრიმინალისტიკური ტექნიკის ძირითად მიმართულებაში - ტრასოლოგიაში (მოძღვრება კვალთა შესახებ). ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები დაეუფლებიან ხილვადი, ნაკლებად ხილვადი და უხილავი კვალის აღმოჩენის, კვალის ფიქსირების, ამოღების, შეფუთვის, მის პროცესუალურ გაფორმებისა და გამოკვლევის უნარ-ჩვევებს. სასწავლო პროცესში გამოიყენება მეთოდი „სწავლება კეთებით“. კრიმინალისტიკის სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიის ბაზაზე ასევე განხორციელდება ორი მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა: ჟურნალისტიკური გამოძიება და დეტექტივ-კრიმინალისტიკა.

აჭარის რეგიონული სასოლო ტურნირი ფუტსალში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აჭარის რეგიონალური ფუტსალის ასოციაციის ორგანიზებით აჭარის რეგიონული სასოლო ტურნირი გაიხსნა ფუტსალში. ჩემპიონატი 15 თებერვალს დაიწყო და პირველობისთვის ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების 38 ნაკრები იბრძოლებს. ტურნირის გახსნის შემდეგ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუტსალის ნაკრებმა შეჯიბრის მონაწილეობისათვის საჩვენებელი თამაში და მასტერკლასი გამართა. ღონისძიება აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მხარდაჭერით ტარდება. გამარჯვებული გუნდები საქართველოს ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.





ქართული ენის ჯგუფი ნუროსმანიუს სკოლაში

2015 წლის 29 იანვარს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, „საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა დასახლებებისა და ყოფის კვლევის“ პროგრამის ფარგლებში, გაიმართა ქართველოლოგიის ცენტრის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მუჰაჯირები“.

ერთ-ერთი მოხსენება (ერდოღან შენოლის და მუსტაფა კოლათის „ქართული ენის ჯგუფი ნუროსმანიუს სკოლაში“) ეხებოდა თურქეთში საქარიას პროინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუსმანიუს სკოლაში არსებულ ქართული ენის ჯგუფს, რომელიც პირველი და ჯერჯერობით ერთადერთია თურქეთში.

ნუროსმანიუსი 200-ზე მეტი კომლია. აქ მარადიდიდან, ძირითადად, ზედა მარადიდიდან, გადასახლებულ

ნაწილია. მისი ავტორია ერდოღან შენოლი, იგივე ერეკლე დავითაძე, სამშობლოს სიყვარულით სავსე საქარული გურჯი. ტექსტი მან ქართულ ენაზე დანერგა და ჩვენც ვამჯობინეთ, რომ სარედაქციო ჩარევა მინიმალური ყოფილიყო.

**მალხაზ ჩოხრაძე,
პროფესორი,
19.02.2015**

ძალიან მიხარია, რომ ჩემთვის ყველაზე საყვარელი და მშობლიური ქართული ენით მეძღვევა მკითხველ-

სკოლაში გაიხსნა ჯგუფები ეროვნულ უმცირესობათა ენების სწავლებისთვის... მომდევნო წელს კი შავი ზღვის რეგიონში 2 ლაზური კლასი (ლაზურს ლათინური ანბნის საფუძველზე ასწავლიან), ქალაქ დუზჯეს ერთ სკოლაში ჩერქეზული კლასი გაიხსნა... ქართულის არც პროგრამა და, შესაბამისად, კლასები ჯერ არ ჩანდა...

ქართული ენის შესწავლის პროგრამა 2013 წელს მომზადდა, მაგრამ ეროვნული განათლების სამინისტრომ არ დაამტკიცა. ამის შემდეგ

მოხერხდებოდა სექტემბერში კლასების გახსნა... კანონის თანახმად, მშობლები არჩევითი საგნებს განსაზღვრავდნენ იენისის ბოლო კვირას. მუსტაფას ძალისხმევით მშობლებმა ხელი მოაწერეს განცხადებებზე და შეიტანეს სკოლის დირექტორთან... ეს ძალიან რთული მომენტი იყო: მანამდე ხომ წარმოუდგენელი იყო მოსახლეობისათვის, რომ შეიძლება მიმართონ საჯარო სკოლას და მოითხოვონ ბავშვებისთვის ქართული ენის სწავლება! მართალი გითხრათ, მერიდებოდა კიდევ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ბევრი საჭიროდაც არ თვლიდა ამ მიმართულებით განათლების მიღებას (ქართულის სწავლებას ბავშვებისთვის) და უმრავლესობა ჯერ კიდევ ასე ფიქრობდა თურქეთში... თან ამის, ანუ ქართული მანამდე... მე კარგად ვიცი, რომ ზუსტად იგივე იმუშავა მუსტაფამ და მისმა წრემ ამ საკითხზე, თითოეულ ოჯახში მივიდა, შეხვდა მშობლებს და საბოლოოდ დააჯერა... შეიტანა განცხადება ოცდახუთი (მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასელი) ბავშვის მშობლისა!

სამწუხაროდ 2014 წელს, სექტემბერში, როცა სასწავლო წელი დაიწყო, ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული ქართული ენის პროგრამა... მუსტაფაც ზრუნვის და იმედის გაცრუების ზღვარზე იყო... სასწავლო წლის დაწყებიდან ოთხი კვირის მერე დამტკიცდა პროგრამა. მე არ მინდა იმის თქმა, რომ ვილაყამ, რატომღაც,

პროგრამა კიდევ უფრო დაიხვეწა 2014 წლის მაისში ხელახლა შევიდა სამინისტროში (მე ამჯერად არ ვეხები პროგრამის მომზადებაში ჩართული ჯგუფის მუშაობას. მათ დიდი საქმე გააკეთეს და ამაზე სხვა დროს საგანგებოდ ვისაუბრებ)... ჩვენთვის კი დიდი გულისტკივილი იყო, რომ ჯერ არცერთი ქართული კლასი არ იყო გახსნილი... რა თქმა უნდა, მე და სხვა რიგითი ქართველები ვლაპარაკობდით ამ საკითხზე ყოველთვის და ცდას არ ვაკლებდით... მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ პრობლემა საკმაოდ რთულად გადასაჭრელი იყო და რთულია ახლაც, იმიტომ, რომ ასეული წლების განმავლობაში სკოლაში მშობლიური ენის სწავლების შესაძლებლობა არ იყო და ვერ წარმოიდგენდა ადამიანი თურქეთში მსგავს რამეს... ახლაც წარმოუდგენელია მილიონებით თურქეთელი ეთნიკური ქართველისათვის...

კლასი პირველად, გაიხსნა საქარიამში, გეივეს რაიონის სოფელ ნურუსმანიუსში, იმ სოფელში ქართული ენის კლასის გახსნის იდეა მაშინ გაჩნდა, როცა ჩვენ, 2013 წელს ოქტომბერში, ჩამოვყავალიხეთ ქართული ცეკვის ჯგუფი... კვირაობით სტამბულიდან მოგვყავდა ქართული ცეკვის მასწავლებელი ნურუსმანიუს ბავშვებისთვის... ამ საქმეში ჩემთან ერთად ჩართული იყო მუსტაფა კოლათი (კოლათაშვილი), რომელსაც ნათესავები ყავდა იმ სოფელში ამ ურთიერთობათა გარეშე ვერ მოხერხდებოდა მოცეკვავეთა ჯგუფის ჩამოყალიბებაც, რადგან ინტერესის გაღვივება ამ საქმის მიმართ თავიდანვე ჭირდა...

მოცეკვავეთა გუნდის არსებობამ ქართული კლასის იდეა შვა (შეგნიშნავ, რომ მე არა ვარ ნურუსმანიუსიდან და სწორედ მუსტაფას გამო, მასთან ერთად, გადაწყვიტეთ, რომ იმ სოფელში გახსნილიყო კლასი)... ვფიქრობდით, რომ 2014 წლის ზაფხულში ქართული ენის პროგრამა დამტკიცდებოდა, რაც ჯგუფის ორგანიზების შესაძლებლობას მოგვცემდა და



სპეციალურად დააყოვნა. მჯერა, რომ ასე არ ყოფილა... ამ პერიოდში მუსტაფა მუდმივ კონტაქტში იყო რაიონის განათლების ხელმძღვანელთან და სკოლის დირექტორთან. პროგრამა რომ დამტკიცდა, როგორც ვთქვი, სკოლაში სწავლის დაწყებიდან ოთხი კვირა იყო გასული, მაგრამ მუსტაფას დაუჩინებელი, შეუწყვეტელი თხოვნის შედეგად დირექციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაგვიანების მიუხედავად დაწყებულიყო ქართული ენის გაკვეთილები...

მერე იყო მასწავლებლის პრობლემა... როგორც ვიცი, თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს კადრებს შორის არ არის ქართული ენის მასწავლებლები. მუსტაფამ აიღო პასუხისმგებლობა და გადაწყვიტა, რომ თვითონ ყოფილიყო მასწავლებელი... სხვა გზა არ ჩანდა. ვერც შორიდან წამოვიდოდა მასწავლებელი, თუნდაც იმიტომ, რომ ანაზღაურება ძალზედ მცირეა. ერთ კლასში კვირაში 2 საათია და 1 საათის ანაზღაურება შეადგენს 8 ლირას; ანუ ერთ კლასში თვეში 8 გაკვეთილი ტარდება და სულ 64 ლირა ერგება მასწავლებელს.

რაიონის განათლების ხელმძღვანელმა მუსტაფას რომ უთხრა, - ახ-

ლადაგახსნილი ორი კლასისთვის შენ მიიღებ თვეში 128 ლირას და გზაშიც არ გეყოფა, რადგან ქალაქიდან დადისხარო... მუსტაფამ უპასუხა: „ოღონდ თქვენ გახსენით კლასი, პირით მე გადავიხდით ფულს... ფულის გულისთვის არ ვაკეთებ ამ საქმესო!“

მოკლედ, დანიშნეს მუსტაფა კოლათი მასწავლებლად და ბიზნესში ჩრთული ეს კაცი ყოველკვირულად თმობს თავის საქმეს და მიდის სოფელში, რათა ბავშვებს ქართული ასწავლოს!... 30 ოქტომბრიდან დაწყებული გაკვეთილები წარმატებით ტარდება და 25 ბავშვი უკვე თავისუფლად და ძალიან ლამაზად წერს ჩვენი შესანიშნავი ქართული ასოებით... რაცაა შესაძლებელი კვირაში 2 გაკვეთილის ფარგლებში, ის ძალიან კარგად გააკეთა მუსტაფამ და, ჩემი აზრით, წარმატებას მიაღწია...

იმედია, მომავალ წელს თურქეთის სხვადასხვა რეგიონში მრავალ ოჯახს ექნება სურვილი და გაიხსნება ახალი ჯგუფები... ამ საქმეს პოპულარიზაცია სჭირდება, სათანადო რეკლამა და ზრუნვა საჭირო, ყველგან რომ გაჩნდეს სურვილი... ჩვენც ვგვიტოვებთ შეძლებისდაგვარად ფართო მასშტაბიანი საქმიანობის წამოწყებას, განსაკუთრებით, მაისის თვიდან იენისის ბოლომდე (როგორც აღვნიშნე, მშობლები არჩევენ საგნებს განსაზღვრავდნენ იენისის ბოლო კვირაში), მაგრამ, სამწუხაროდ, ვითარება შეიცვალა. ჩვენთვის მოულოდნელად, განათლების სამინისტროს ახ-

მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიცია (ხელმძღვანელები - პროფ. მ. ფალავა, ასოც პროფ. ზ. შაშკაძე) 2013 წლის ზაფხულში იყო ნურუსმანიუსში. მაშინ ქართული ჯგუფი ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი, მაგრამ მუსტაფა კოლათი, ან უკვე ქართული ენის მასწავლებელი, ამ თემაზე საუბარს არ გაუბრბოდა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სოფელ ნურუსმანიუსიდან SKYPE-ს მეშვეობით მომხსენებელთა პირდაპირი ჩართვა კონფერენციის მუშაობაში, ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი იყო.


სიმბოლურია, რომ პირველი ჩართვა თურქეთის ქართველთა პირველი ქართული სასკოლო ჯგუფიდან სწორედ უნივერსიტეტში განხორციელდა. პროცესზე ზემოქმედების თვალსაზრისით ჩვენი შესაძლებლობები მეტად მწირია, მაგრამ საქმიანი და სასარგებლო უთიერთობის პერსპექტივა არსებობს. აქ მხოლოდ ერთი, დიხაჯც არსებითი საკითხს შეეხებით: ქვემოთ მოყვანილი წერილიდანაც ჩანს, რომ ქართული ენის მასწავლებელთა პრობლემა აუცილებლად იქნეს თავს. ჩვენთან ახლახან დამთავრდა მუშაობა კომპლექსური სახელმძღვანელოზე „ქართული ენა უცხოელთათვის“, (ბსუ-ს მოსამზადებელი ცენტრის პროექტის ფარგლებში) მუშავდება სწავლების სტრატეგიები და მეთოდოლოგია, იხვეწება შეფასების სისტემა. ავტორთა ჯგუფი მიზნად ისახავს სემინარების (ტრენინგების) მოწყობას ქართული ენის უცხოელი მასწავლებელთათვის. ამის შესახებ ზემოხსენებულ კონფერენციაზეც ითქვა და ამასთან, გარკვეული ნაბიჯებიც გადადგმულია, არსებობს სასარგებლო კონტაქტებიც. მართალია, პროექტის განვითარებას (მხედველობაში მაქვს ქართული ენის სწავლების პროგრამა და მასთან, სახელმძღვანელო) თავიდანვე დაჰყვა მრავალი (სრულიად არაკადემიური) დაბრკოლება, მაგრამ იმედი მაქვს, იდეის რეალიზაცია მაინც მოხერხდება.

წერილი, რომელსაც უნივერსიტეტის გაზეთი ბეჭდავს, კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენების

თან კონტაქტის შესაძლებლობა... სწორედ ამ ქართულისთვის უნდა ვიზრუნოთ ჩვენ, რომ გარკვეული მცირე ნაწილი კი არა, თურქეთში მილიონობით ეთნიკური ქართველების შეილები დაინტერესდნენ მშობლიური ენით და იქნებ ამ გზით გააღვივება მათი ნაწილის ინტერესი ქართველობის მიმართ...

თურქეთის საჯარო საშუალო სკოლებში რამდენიმე წლის წინ დაიწყო ეთნიკური უმცირესობების ენების არჩევითი საგნად აღიარების პროცესი, რაც თურქეთის რესპუბლიკის ევროინტეგრაციის საკითხს უკავშირდებოდა. ევროსაბჭოს პირობების შესრულება იმასაც გულისხმობდა, რომ თუ მშობლები მოითხოვდნენ, ენის სწავლების უფლება ფორმალურად მაინც უნდა მიცემულიყო. ეს პროცესი 2000-იან წლებში დაიწყო. 2012 წელს კი, მაშინდელი პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საშუალო სკოლებში დაიწყო თურქეთში არსებული ე.წ. ცოცხალი ენების შესწავლა... მაშინდელ სიაში იყო ქურთული, ზაზაური (ქურთულის განშტოება - ე.შ.), ლაზური, ჩერქეზული, აფხაზური... მაგრამ არა ქართული... აღნიშნულ ენების პროგრამები სათვისტომოების მიერ ადრევე იყო დასამტკიცებლად შეტანილი თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროში... და პრემიერის განცხადებამდე დამტკიცებულიც კი იყო.

ქართველებმა კი დაავიანეს! შესაბამისად, უკვე 2012 წლის სექტემბერში თურქეთის რამდენიმე



პრაქტიკული დაპიტიამი
(ერდოღან შენოლი)
თურქეთი, ქალაქი საქარია.
29 იანვარი - 15 თებერვალი.
2015 წელი



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მრავალრიცხოვანი და წარმატებული ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მრავალრიცხოვანი და წარმატებული ფაკულტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით, ფაკულტეტზე არჩეულია 70 პროფესორი.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ამჟამად 1200-მდე სტუდენტი სწავლობს, მათ შორის უცხოელი სტუდენტებიც.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახორციელებს სამეცნიერო საფუძვლის საგანმანათლებლო პროგრამებს, კერძოდ, 10 საბაკალავრო, 6 სამაგისტრო და 4 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე ქართულ ენაში მოსამზადებელ (სომხურენოვანთათვის და აზერბაიჯანულენოვანთათვის) პროგრამას:

- ბაკალავრიატი:**
- ისტორია
 - ფილოსოფია
 - თარგმანმცოდნეობა
 - თურქეთისმცოდნეობა
 - ქართული ფილოლოგია
 - რუსული ფილოლოგია
 - თურქული ფილოლოგია
 - ინგლისური ფილოლოგია
 - გერმანული ფილოლოგია
 - ფრანგული ფილოლოგია
- ბაკალავრიატის ორი საგანმანათლებლო პროგრამა, - ქართული ფილოლოგია და ისტორია, - სრულ სახელმწიფო დაფინანსებას იღებს.

- მაგისტრატურა:**
- ლინგვისტიკა (ქართული ენა, რუსული ენა, თარგმანმცოდნეობა);
 - ლიტერატურის თეორია და ქართული ლიტერატურათმცოდნეობა;
 - ევროპისტიკა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ფილოლოგია, ტრანსლატოლოგია, ბრიტანული და ამერიკული ლიტერატურა);
 - ისტორია (საქართველოს ისტორია, მსოფლიო ისტორია);
 - ეთნოლოგია;
 - შავი ზღვისპირეთისა და კავკასიის არქეოლოგია

- დოქტორანტურა:**
- ლინგვისტიკა
 - ლიტერატურათმცოდნეობა
 - ისტორია
 - არქეოლოგია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფუნქციონირებს წლების განმავლობაში, საქართველოში სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ბაზაზე შექმნილი ცენტრები და კაბინეტები - ამერიკანისტიკის ცენტრი, თურქოლოგიის ცენტრი, ანგლისტიკის, რომანისტიკისა და გერმანისტიკის, ასევე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინოლოგი-

ისა და ნეოგრეციისტიკის კაბინეტები. ეს სასწავლო კაბინეტები აღჭურვილია სპეციალიზებული ბიბლიოთეკებითა და თანამედროვე ტექნიკით, რაც დიდ დახმარებას უწევს როგორც სტუდენტებს, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს.

ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარების ტრადიცია, რაც მომავალშიც გაგრძელდება და ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევების განვითარებას, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის პოპულარიზაციას აკადემიურ სფეროში.

სწავლების ინტერნაციონალიზაციის განვითარებისათვის, საერთაშორისო განათლების ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით, სისტემატურად იმართება გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო პროექტების პრეზენტაციები.

სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი გაცვლით პროგრამებში და სწავლას აგრძელებენ ევროპის უნივერსიტეტებში.

სტუდენტთა მხარდაჭერისა და მათი ინტერესთა გათვალისწინებით, ფაკულტეტზე ხორციელდება საინტერესო პროექტები: ლიტერატურის მკითხველთა კლუბი, კინოკლუბი, დებატების კლუბი და ა.შ. ცნობილი ქართველი და უცხოელი პროფესორები კითხულობენ საჯარო ლექციებს.

აქვე შევნიშნავთ, რომ სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის მიზნით, ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების ხელფასის 1%-ს ყოველთვიურად ირიცხება სოციალურად დაუცველ სტუდენტთა დახმარების ფონდში, გაიცემა სტიპენდიები სოციალურად დაუცველ სტუდენტთათვის, წარჩინებულ სტუდენტებს ენიშნება საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სემესტრული და სახელობითი სტიპენდიები.

პირველი კურსის სტუდენტებს, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციისას პირველ რიგში მიუთითებენ ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტს/სპეციალობას და მე-4 არჩევით საგანში ექნებათ მაღალი ქულა, ენიშნებათ სტიპენდია 100 ლარის ოდენობით!

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლიერი მხარეებია:

- აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება;
- სტუდენტთა სტაბილური რაოდენობა;
- გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები;
- დამსაქმებელთა ინტერესი;
- სამეცნიერო პოტენციალი,
- წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა;
- კომპეტენტური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები.

გახდნი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, პირიქი საინტერესო სტუდენტური ცხოვრება!



„არჩევანი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტზე რამდენიმე წლის წინ შავაჩრა“



ვფიქრობდი, რომ არჩევანს არ ვინანებდი და ასეც მოხდა. უნივერსიტეტში ჩაბარებამდე მეტ-ნაკლებად მქონდა გააზრებული განათლების მნიშვნელობა, რომელიც თანამედროვეობაში განსაკუთრებით დიდია. ლექტორების დახმარებით უკეთ გავაცნობიერე დღევანდელი კონკურენციის პირობებში სწავლის პროცესის უწყვეტობის აუცილებლობა, რომლის სტიმულირებასაც უნივერსიტეტი ახდენს. საქართველოს განათლების სისტემას სამუშაო ნამდვილად ბევრი აქვს, უნივერსიტეტშიც არის ხარვეზები, რომელთა გამოსწორებაზე, პირველ რიგში, სწორედ ჩვენ, სტუდენტებმა, უნდა ვიზრუნოთ, რადგან აქ მიღებულ განათლებასა და გამოცდილებაზე დამოკიდებული ჩვენი წარმატებაა.

აბიტურიენტებს ვურჩევ პროფესიული არჩევანი დამოუკიდებლად მიიღონ და მაქსიმალური პასუხისმგებლობით მოეკიდონ სწავლის პროცესს. მათ ვისაც ფილოსოფიის მიმართულებით გასურთ სწავლის გაგრძელება, გარწმუნებთ, თუ არჩევანს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტზე შეაჩერებთ, არ ინანებთ“.

ნინო ინჰპირველი





ბურიზის ფაქტობები - მიღწევა და გამოწვევა ჩვენ ვისწრებით ვიყოთ ყველგან...



ტურიზმის ფაკულტეტის ჩამოყალიბება რეგიონში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების აუცილებლობამ განაპირობა.

ფაკულტეტის მიზანია - ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა და ტურიზმის დარგისათვის მაღალკვალიფიციური, შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადება.

შემუშავდა და დაინერგა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი „ტურიზმი“ საბაკალავრო და „სასტუმრო საქმისწარმოების“ პროფესიული პროგრამები, სწავლება დაიწყო თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ აუდიტორიუმში.

ტურიზმის ფაკულტეტი ინტენსიურად მუშაობს უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობის გაფართოებისათვის. ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს და გაცვლით პროგრამებს ახორციელებს შვედინის (გერმანია), ტელემარკის (ნორვეგია) და ებერსვალდის (გერმანია) უნივერსიტეტებთან, ჰამბურგის ევროპის ბიზნესკოლეჯთან (გერმანია).

გაცვლით პროგრამებით შესაძლებელი გახდა სწავლების ხარისხის ამაღლება, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. საგანმანათლებლო პროგრამები მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს გერმანიისა და ამერიკის უნივერსიტეტებთან. მონვეული გვყავს და ფაკულტეტზე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევიან ტურიზმის უცხოელი ექსპერტები.

სეროზული პრეტენზია გვაქვს

ვიყოთ პირველები. ჩვენი მიზანია სტუდენტებს მივცეთ ტრანსფერული ცოდნა, რათა შეძლონ საზღვარგარეთის ქვეყნებში თავიანთი სპეციალობით დასაქმება.

აქ ყველა პირობაა იმისათვის, რომ მომზადდეს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. კერძოდ, გამოიყენება თანამედროვე მენეჯმენტის სისტემა. ტურიზმის ფაკულტეტმა სასტუმროს მენეჯმენტის მაღალხარისხიანი სწავლებისათვის შეიძინა სასტუმროს მართვის პროგრამა „Opera“. ამ სისტემით სარგებლობენ სასტუმროების ისეთი ცნობილი ბრენდები, როგორცაა: „Sheraton“, „ლადისონ“, „Hilton“ და სხვა.

ვასწავლით რესტორნის მენეჯმენტის პროგრამულ სისტემას „Micros“. ფაკულტეტზე მოქმედებს ტურისტული სააგენტო „UNITOUR“, სტუდენტებს ადგილზე შეუძლიათ დაეუფლონ ტუროპერეტივებს.

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის ფაკულტეტი არსებობის მხოლოდ სამ წელს ითვლის, ის ერთიანი ეროვნული გამოცდების განაცხადში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნი ფაკულტეტი საქართველოში.

ტურიზმის ფაკულტეტი წარმატებით ახორციელებს მნიშვნელოვან პროგრამებს და პროექტებს:

- ტურიზმის ფაკულტეტის 70-ზე მეტმა სტუდენტმა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა გაიარა გერმანიის 5-ვარსკვლავიან სასტუმროებში.
- ტურიზმის ფაკულტეტის 9 პროფესორ-მასწავლებელმა სტაჟირება გაიარა გერმანიისა და ნორვეგიის უნივერსიტეტებში.
- ტურიზმის ფაკულტეტის 35 სტუდენტი სხვადასხვა გაცვლითი პროგრამით სწავლობდა ნორვეგიის, გერმანიის, პოლონეთისა და თურქეთის უნივერსიტეტებში.
- ტურიზმის ფაკულტეტის ორგანიზებით, ყოველწლიურად იმართება საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“, რომელშიც მონაწილეობს დასავლეთის 20-ზე მეტი ქვეყნის უნივერსიტეტების პროფესორები.

ფესორ-მასწავლებლები და ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლები.

- ტურიზმის ფაკულტეტის წარმატებულ სტუდენტებს საშუალება აქვთ 3-თვიანი ანაზღაურებადი პრაქტიკა გაიარონ გერმანიის ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაციებში.
- ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტების უმრავლესობა წარმატებით საქმიანობს ცნობილ საერთაშორისო კომპანიებში.
- ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტების დიდი ნაწილი ზაფხულში ახლადგახსნილ სასტუმრო „Hilton“-ში დასაქმდებიან.
- გერმანელი პარტნიორების მონაწილეობით, ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება ინგლისურენოვანი „საერთაშორისო მასპინძლობისა და ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამა, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს რამდენიმე სემესტრი უცხოეთში ისწავლონ.

ფაკულტეტი აგრძელებს ინოვაციურ საქმიანობას და მაქსიმალურად ცდილობს უზრუნველყოს სტუდენტებისათვის მიმზიდველი სასწავლო გარემო.



ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტს აქვს ღრმა და შინაარსიანი ისტორია. მისი ისტორიის ფურცლები იწყება ჯერ კიდევ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიდან. წლების განმავლობაში ფაკულტეტი აერთიანებდა მათემატიკის, ზოგადი ფიზიკის, თეორიული ფიზიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და ინფორმატიკის და ზოგადტექნიკური დისციპლინებისა და შრომის კათედრებს. დღეს ის აერთიანებს ყველაზე ფუნდამენტურ და სწრაფად განვითარებულ დარგებს, ფიზიკას, მათემატიკას, კომპიუტერულ მეცნიერებებს. ფაკულტეტს ჰყავს კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, რომლებსაც თავიანთი სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ, როგორც ფაკულტეტის, ასევე უნივერსიტეტის განვითარებაში.

ფაკულტეტის აკადემიური ჩირები და სტუდენტები აქტიურად ჩართულნი არიან TEMPUS, rasmus Mundus, UMTC, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სასწავლო, სამეცნიერო და გაცვლით პროექტებში. სტუდენტებს საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღონ, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და ოლიმპიადებში. ფაკულტეტს აქვს მნიშვნელოვანი წარმატებები ამ კუთხით.

ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი აბიტურენტებს სთავაზობს მრავალფეროვან საგანმანათლებლო პროგრამებს სწავლების სამივე საფეხურზე, კერძოდ: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს: „ფიზიკა“, „მათემატიკა“, „კომპიუტერული მეცნიერებები“, „გამოყენებითი ფიზიკა“, „ფინანსური მათემატიკა“;

რაბომ უნდა ავირჩიოთ ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი?



კა“, „კომპიუტერული მათემატიკა“, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს: „რადიოფიზიკა“, „მათემატიკა“, „ბიზნეს ინფორმატიკა“; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს: „ფიზიკა“, „გეომეტრია-ტოპოლოგია“, „თანამედროვე ალგებრა (ნახევარჯგუფები)“.

რაბომ უნდა ავირჩიოთ ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი?

- ფაკულტეტი აერთიანებს ყველაზე ფუნდამენტალურ, ზუსტ, სწრაფად განვითარებად, პროგრესულ, თანამედროვე, მაღალანაზღაურებად დარგებს: ფიზიკას, მათემატიკას, კომპიუტერულ მეცნიერებებს;
- ფაკულტეტს ყავს მაღალი აკადემიური დონის, გამოცდილი პროფესორ მასწავლებლები და ენთუზი-

აზმით სავსე, ენერგიული და შრომისმოყვარე ახალგაზრდა თაობა;

- ფაკულტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, როგორც ტრადიციული, ასევე თანამედროვე ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასები.

რას მოგვცემს ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი?

- სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ დაეუფლონ, თანამედროვე ფუნდამენტური მათემატიკის (მათემატიკური ანალიზი, ტოპოლოგია, ალგებრა და სხვა), ფუნდამენტური და გამოყენებითი ფიზიკის და კომპიუტერული მეცნიერებების (თანამედროვე ელექტრონიკის, რადიოფიზიკის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო

ციო სისტემების, ლაზერების, მაზერების და მექანიკური თუ ავტომატური მართვის სისტემების, ფიზიკურ, პროგრამულ და ინტერფეისულ საფუძვლებს; გამოუმუშავდეთ პრაქტიკული, გამოყენებითი უნარ-ჩვევები და ღირებულებები.

რას შევძლებთ ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმატებულად დასრულების შემდეგ?

- ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს ექნებათ ამოცანების დასმის და გადაწყვეტის უნარი, ადვილად გაერკვევიან ახალი, თანამედროვე დასაქმების მუშაობის პრინციპებში შექმნილ სწრაფად მრავალფეროვან ფიზიკოსების, მათემატიკოსების და კომპიუტერული მეცნიერების სფეროები (კერძოდ ფირმები, მომსახურების სფეროები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, კვლევითი ინსტიტუტები და სამსახურები, საინფორმაციო, საკომუნიკაციო და სამედიცინო სფეროები და სხვა.)

ერთი სიტყვით, ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მომავალ სტუდენტებს ელის ღრმა, შინაარსიანი, შრომატევადი, საინტერესო და ნაყოფიერი სამუშაო. მაღალ აკადემიურ და პროფესიულ განათლებასთან ერთად, სიახლეების მუდმივი ძიება, თვითგანვითარება, კომუნიკაბელობა, გუნდური მუშაობის უნარი, სწრაფად სრულყოფილებისაკენ წარმოადგენს მომავალი კვალიფიციური სპეციალისტის აღზრდის საფუძველს.



რატომ ვირჩევთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს?

ფაკულტეტს სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობისათვის სპეციალისტების მომზადების 80-წლიანი გამოცდილება აქვს.

სწავლებასა და კვლევას ტრადიციულად ემსახურება ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიანი, სადოქტორო და რეზიდენტურის საგანმანათლებლო პროგრამები. ფაკულტეტი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი ლიდერია ბიომრავალფეროვნების, ეკოლოგიური სისტემების, შავი ზღვის ეკოლოგიური და ქიმიური მონიტორინგის, გენეტიკური პოპულაციების კვლევისა და სწავლების თვალსაზრისით.

საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის მიმართულებას ირჩევს ადამიანი, რომელსაც ლაბორატორიული კვლევა აინტერესებს, მოგზაურობა ხიბლავს ან ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ყოფნის სურვილი აქვს.

თითქმის ყველა საბუნებისმეტყველო დარგი ექსპერიმენტულია და აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელოვანი ნილი პრაქტიკულ კურსებს უკავია. ბიოლოგიისა და ქიმიის სასწავლო კურსების ათვისება ფაკულტეტის სასწავლო ლაბორატორიებში მიმდინარეობს. სტუდენტები უშუალოდ მონაწილეობენ ლაბორატორიულ კვლევაში. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ნაწილი კი უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში და რეგიონში მოქმედ სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში სრულდება, რომლებთანაც ფაკულტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები.

გეოგრაფიის, ეკოლოგიისა და ბიოლოგიის სპეციალობების დაუფლება მოგზაურობის გარეშე წარმოდგენილია. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს სავსე პრაქტიკებსა და ექსპედიციებს. შავი ზღვის პრობლემების შესწავლის მიზნით ტარდება პრაქტიკები შავი ზღვის აკვატორიაში გასვლით. ფაკულტეტზე შეიქმნა დასავლეთ საქართველოს ქრომატოგრაფიული ცენტრი, სადაც სტუდენტი დაუფლება ქიმიური კვლევის თანამედროვე მეთოდებს.

მედიცინის, სტომატოლოგიისა და ფარმაციის სპეციალობების სტუდენტები დარგობრივ კომპეტენციებსა და უნარჩვევებს საუნივერსიტეტო კლინიკებში იძენენ. ფაკულტეტზე შეიქმნა „სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ცენტრი“, რომელიც სტუდენტებს საშუალება მისცემს, პრაქტიკული უნარ-ჩვევები ჩამოუყალიბდეთ სიმულაციური მეთოდებით მულაჟების გამოყენებით. ჯანდაცვის მიმართულებით კურსდამთავრებულებს საშუალება აქვთ, სწავლა გააგრძელონ ფაკულტეტზე მოქმედ სარეზიდენტო პროგრამებზე სხვადასხვა სპეციალობით.

ბიოლოგიისა და ქიმიის საბაკალავრო პროგრამებზე სწავლა უფასოა - სტუდენტთა დაფინანსება სახელმწიფოს მიერ არის უზრუნველყოფილი.

წარჩინებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სხვადასხვა სახის სახელობითი სტიპენდიით.

უნივერსიტეტის რეიტინგის ზრდამ და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულმა პროგრამებმა, გაცვლითი პროექტების წარმატებულმა მუშაობამ საშუალება მოგვცა გავგზარდა სტუდენტთა მისაღები კონტიგენტი. შესაბამისად, წელს მედიცინის და სტომატოლოგიის პროგ-

რამაზე 45 სტუდენტის მიღების საშუალება გვაქვს; ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაზე - 15; ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამაზე - 15; ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე - 30; ქიმიის საბაკალავრო პროგრამაზე - 15; ეკოლოგიის, ზღვის ბიოლოგიისა და ფიზიკური გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამებზე - 50.

რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამებს, ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგური რესურსები და გარემოს მდგრადი განვითარების პროგრამაზე - 5 სტუდენტის მიღების საშუალება გვაქვს; ბიოლოგიის პროგრამაზე - 12; ქიმიის პროგრამაზე - 5; საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამაზე - 15.

ფაკულტეტზე სტუდენტური ცხოვრება საინტერესო და მრავალფეროვანია. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო და სამეცნიერო კვლევით პროცესებში, მონაწილეობენ სკოლა-სემინარების, საზაფხულო სკოლების, ვორკ-შოპების, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში, გარემოს-დაცვითი ღონისძიებებში, შემეცნებით, კულტურულ და სოციალურ პროგრამებში. სტუდენტები მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტებში. აქტიურად არიან ჩართულნი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ფაკულტეტს ჰყავს წარმომადგენლები უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასა და წარმომადგენლობით საბჭოში. სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ საქველმოქმედო აქციებში. ენცობა ექსკურსიები და დებატები, ტარდება გამოფენები. ისინი მონაწილეობენ სტუდენტურ გამოკითხვებში, აფიქსირებენ სურვილებსა და მოლოდინებს. დაინერგა საზღვარგარეთის უნივერსიტეტების პროფილურ საზაფხულო სკოლებში სტუდენტების მონაწილეობა.

ფაკულტეტის სტუდენტები და ახალგაზრდა მეცნიერები გაცვლითი პროგრამებით ხშირად მიემგზავრებიან საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში (ამჟამად ჩვენი სტუდენტები და კოლეგები იმყოფებიან: ნორვეგიაში, თურქეთის რესპუბლიკაში, საბერძნეთში, გერმანიაში, პორტუგალიაში, ლატვიაში, ირლანდიაში, უკრაინაში).

როგორც ჯანდაცვის, ასევე საბუნებისმეტყველო მიმართულების სპეციალობათა კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან: სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში, ბოტანიკურ ბაღებში, აკვარიუმში, დელფინარიუმში, ზოოპარკში, ბუნების დაცვის ორგანიზაციებში, დაცულ ტერიტორიებში (ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებში), წარმოება-დაწესებულებების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ეკოლოგიური მონიტორინგის, გარემოს დაცვის ეროვნულ სამსახურებში, სამედიცინო კლინიკებში, აფთიაქებში, ფარმაცევტულ კომპანიებში, ქიმიურ-ფარმაცევტულ და კვების მრეწველობის საწარმოებში, სამედიცინო ლაბორატორიებში, საბაჟო-საკარანტინო სამსახურებში, პროფილაქტიკური მედიცინის მიმართულებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში.

ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა კომპეტენციები აღიარებულია უცხოეთშიც. ისინი პროფილის შესაბამისად დასაქმდებიან არიან უკრაინაში, გერმანიაში, საბერძნეთში, რუსეთში, თურქეთში, გაერთიანებულ ემირატებში.





სოციალურ და პოლიტიკურ მიცნობისათვის ფაკულტეტი



სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი უნივერსიტეტში ერთ-ერთი კომპლექსური, მრავალდარგობრივი ერთეულია, რომელიც მოიცავს ფსიქოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპისმცოდნეობის პროგრამულ მიმართულებებს.

ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამებიდან ყველაზე ხანგრძლივი ისტორია ფსიქოლოგიის სპეციალობას აქვს. ის დამოუკიდებელი სასწავლო-სამეცნიერო კათედრის სახით ჩამოყალიბდა 1990 წელს, რაც პირველყოფილია განპირობებული იყო ფსიქოლოგთა როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი ზრდით. ხარისხობრივი ზრდის ერთი მთავარი მაჩვენებელი გახდა 2006 წელს ფსიქოლოგიის კათედრის დაჯილდოვება დიმიტრი უზნაძის საიუბილეო მედლით.

ამჟამად ფსიქოლოგიის პროგრამულ მიმართულებას ხელმძღვანელობს სრული პროფესორი გურამ ჩაგანავა. საგანმანათლებლო პროგრამას ფსიქოლოგიის მიმართულებით ვახორციელებთ შემდეგ პროგრამებს: ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 2009 წლიდან, დამატებით (მაინორ) პროგრამას და კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 2006 წლიდან. ამან

კიდევ უფრო გაზარდა უნივერსიტეტში და მის ფარგლებს მიღმა ფსიქოლოგთა აქტივობა. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური სამსახური, რომელშიაც ჩართული არიან ფსიქოლოგიის მიმართულების ლექტორ-მასწავლებლები.

ფსიქოლოგიის პროფესორ-მასწავლებლები ჩართული არიან საერთაშორისო პროექტში: "ინკლუზიური სტრატეგიების განვითარება და სტრუქტურული გამოყენების დანერგვა უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში".

საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა შედარებით ახალგაზრდაა (2006 წლიდან), თუმცა საკმაო გამოცდილება შეიძინა და წარმატებით ხორციელდება, რომელსაც ხელმძღვანელობს ასოცირებული პროფესორი ირაკლი მანველიძე, რამაც მოითხოვა პოლიტიკური მეცნიერებების კუთხით სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება.

ალსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან და კვლევით ინსტიტუტებთან, მათ შორის, თსუ-სა და საქართველოს პოლიტოლოგიის ინსტიტუტთან, რომლებთანაც გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, ამან

კი შეგვიქმნა სამართლებრივი საფუძველი ერთობლივი სასწავლო, სამეცნიერო და სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად. უკვე მომზადებული გვაქვს და იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში ამოქმედდება სამაგისტრო პროგრამა.

უკვე მესამე წელია, რაც ასევე წარმატებით ვახორციელებთ ევროპისმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამას. აქვე ისიც მინდა ვთქვა, იმის მიუხედავად, რომ ეს ორი საგანმანათლებლო პროგრამა საუნივერსიტეტო მასშტაბით ახლახანს ავამოქმედეთ, ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნილი სპეციალობებია. მხოლოდ წლევანდელ წელს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაში ერთ საკონკურსო ადგილზე ოთხი აბიტურენტი მოდიოდა, კონკურსი გვექონდა ევროპისმცოდნეობის მიმართულებაშიც. სამომავლოდ ვფიქრობთ, გავზარდოთ მისაღები კონტინგენტი.

ფაკულტეტის აქტიურადაა ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ვცდილობთ, არ ჩამოვრჩეთ თანამედროვე მოთხოვნებს და ფეხი ავუბათ ახალ გამოწვევებს. 2009 წელს დამუშავდა საგრანტო თემა „ტრანსნაციონალური კომპანიები ამიერკავკასიის ქვეყნების პოლიტიკასა და ეკონომიკაში: პრობლემები, ტენდენციები, პერსპექტივები“.

2009 წელს დეპარტამენტის პროფესორები: ირაკლი გორგილაძე და ლაშა ბაჟუნაიშვილი ERASMUS MUNDUS პროექტის ფარგლებში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით იმყოფებოდნენ პორტუგალიაში, ვიანას პოლიტიკური ინსტიტუტში და საბერძნეთში თესალონიკის ალექსანდრეს სახელობის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტსა და ჰელენიკის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

2013 წლიდან სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპისმცოდნეობის მიმართულებები ჩართულია TEMPUS-ის პროექტში და მსოფლიოს 14 წამყვან უნივერსიტეტთან ერთად აქტიურად მუშაობს სწავლებისა და სწავლის ინოვაციურ მეთოდებზე. 2014 წელს ვრიჯის უნივერსიტეტში (ბელგია) მოხდა გადამზადების პირველი ეტაპის პრეზენტაცია.

2014 წელს პროფესორი ირაკლი მანველიძე გრანტის ფარგლებში იმყოფებოდა უნგრეთში ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში და წარმატებით გაიარა პროექტი: კვლევის ევროპული სტანდარტები.

წინა წლები ჩვენთვის ნაყოფიერი იყო საკუთრივ, სამეცნიერო აკადემიური აქტივობის თვალსაზრისით. წარმატებით გავიარეთ კონკურსები, შესაბამისად, დღეს სამ საგანმანათლებლო პროგრამას ვემსახურებით ერთი სრული, ექვსი ასოცირებული და ექვსი ასისტენტ - პროფესორი. დეპარტამენტში მომზადდა და გამოიცა არაერთი მონოგრაფია თუ სახელმძღვანელო, რამაც სტუდენტებს გაუადვილა რთულად ხელმისაწვდომი მასალის ათვისება.

დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს საერთაშორისო კავშირების მოძიებაზე. მომზადებული გვაქვს რამდენიმე წინადადება (არ მინდა წინასწარ გავახშიანო) ევროპის უმაღლეს სასწავლებლებს შესაბამის დეპარტამენტებთან მრავალმხრივი თანამშრომლობის შე-

სახებ. რაც შეეხება ქვეყნის შიგნით ეს კავშირები არსებობს და ვფიქრობთ მის კიდევ უფრო გაღრმავებაზე.

ასე, რომ ბევრი რამ გავაკეთეთ და ბევრიც გვაქვს გასაკეთებელი. საერთაშორისო ურთიერთობების I კურსი: "საერთაშორისო ურთიერთობები ინტერდისციპლინური დარგია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სპეციალობის არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა ექნება საერთაშორისო მოვლენები და ფაქტები განიხილოს ფართო სპექტრში, ჩამოუყალიბდეს ანალიტიკური ხედვა და კრიტიკული აზროვნება. ყოველივე ეს საშუალებას მისცემს სტუდენტებს მოახდინონ ცოდნის რეალიზება და ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას სოციალურ მოედანში, რომელიც ფაკულტეტის არჩევისას გვექონდა, გაგვიმართლდა, რადგან ცოდნის გაღრმავებაში გვეხმარებოდა მაღალკვალიფიციური ლექტორები".

ევროპისმცოდნეობის I-ლი კურსი: "ევროპისმცოდნეობა - ესაა სპეციალობა, სადაც სტუდენტს შეუძლია გამოავლინოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცოდნის გაღრმავებაში გვეხმარებოდა მაღალკვალიფიციური ლექტორები, რომლებთან ურთიერ-

ობა სასიამოვნოა, სალექციო მასალაც ყველასთვის ხელმისაწვდომია. ეს სპეციალობა საშუალებას გვაძლევს, მუდმივად ვიმყოფებოდეთ ინფორმაციის უპიცენტრში და არ განვიცდიდეთ ინფორმაციის ვაკუუმს. გარდა ამისა, გამოვიმუშავებთ ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც დაგვეხმარება საზოგადოებასთან ურთიერთობაში. ჩვენ, ევროპისმცოდნეობის I-ლი კურსის სტუდენტები, კმაყოფილები ვართ ამ სპეციალობით. თუ გასურთ, რომ იყოთ წარმატებული, სოციალურად აქტიურები, საუკეთესოები თქვენს სფეროში, მაშინ გირჩევთ, აირჩიოთ ეს სპეციალობა".

ფსიქოლოგიის I-ლი კურსი: "ფსიქოლოგია გვეხმარება საკუთარი თავისა და სხვა ადამიანის შეცნობაში. ფსიქოლოგი ყოველთვის ცდილობს, დაეხმაროს პიროვნებას გარემოსთან ადაპტაციაში. ამ ფაკულტეტზე ჩვენი მოსვლის ძირითადი წინაპირობა სწორედ ესაა. ფსიქოლოგია მომავლის პროფესიაა, რომელიც საკმაოდ პერსპექტიულია და უახლოეს მომავალში ყველაზე მოთხოვნილი პროფესია იქნება საქართველოში. ყველას ვურჩევთ ამ პროფესიის არჩევას, რადგან ის უადვილებს ადამიანს საზოგადოებასთან ურთიერთობას".



იურიდიული ფაქულტეტი

ძვირფასო აბიტურიენტებო!

ყოველი ადამიანის ცხოვრება რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. თქვენ ახლა თქვენი ცხოვრების იმ საწყის ეტაპზე ხართ, როცა პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული მუქად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ. სწორად არჩეული პროფესია და ამ პროფესიის დაუფლება რეიტინგულ უნივერსიტეტში თქვენი სამომავლო ცხოვრების წარმატების გასაღებია. ბრძენს უთქვამს, კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო. ამიტომაც, ჩვენ შეეცდებით თქვენი ცხოვრების ამ საპასუხისმგებლო ეტაპზე პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმაროთ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის 80-წლიანი გამოცდილება გააჩნია. გამოცდილება კი მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა სწორი ორიენტაცია გააკეთოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებზე. შესთავაზოს აბიტურიენტებს მაღალი ხარისხის განათლება და მისცეს პროფესიის ფართო არჩევანი. ჩვენი უნივერსიტეტი იყო და არის განათლების სფეროში ერთ-ერთ ფლავანდ. მას ზოგადად ქვეყნის და განსაკუთრებით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განათლების, კულტურული აღორძინებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ წინსვლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის.

უნივერსიტეტში აქტიურ და წარმატებულ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ახორციელებს იურიდიული ფაკულტეტი.

ტი. იგი მაღალი რეიტინგით გამოირჩევა, რასაც განაპირობებს ის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ამ ფაკულტეტზე ხორციელდება და ასევე, ლექტორ-მასწავლებელთა პროფესიონალიზმი, მათი დაუღალავი შრომა და ფიქრი წარსულზე და მომავალზე.

იურიდიულ ფაკულტეტზე ამჟამად ფუნქციონირებს 1 საბაკალავრო და 1 სამაგისტრო პროგრამა. პატივცემულო აბიტურიენტებო, ბაკალავრიატის საფეხურზე განაცხადის გაკეთებისას, თქვენი მომავალი წარმატებისათვის, სასურველია აირჩიოთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა, რადგან იურიდიული პროფესია ყოველთვის იყო, რჩება და მომავალშიც იქნება პრესტიჟული, საინტერესო და სარფიანი პროფესია. კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმება, უნივერსიტეტის დამთავრებიდან 2-3 წლის შემდეგ 80% აღწევს, ამასთან, ხშირ შემთხვევაში — მაღალი ანაზღაურებით.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მაღალი რეიტინგის პირობებში კომპლექტდება. ამ პროგრამაზე, ბოლო სამი წელია, პირველი ადგილის განაცხადით, ერთ ადგილზე 5,5 სტუდენტი მოდის, რითაც საქართველოს მასშტაბით მოთხოვნის თვალსაზრისით პირველ ადგილს ინარჩუნებს.

სამართალმცოდნეობის ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამა ორი-

ენტრეობულია, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ სწავლებაზე. სტუდენტთა პრაქტიკული უნარჩვევების გამოუმუშავების მიზნით ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სასამართლო საიმიტაციო დარბაზი, იურიდიული კლინიკა და კრიმინალისტიკის კაბინეტი. გვაქვს გაფორმებული მემორანდუმები სხვადასხვა დაწესებულებებთან, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკულ სწავლებას. ფაკულტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა აქტიურ ცხოვრებას, ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა საზოგადოებრივ სკოლებში, ენევიან კვლევით, კულტურულ, ინტელექტუალურ, შემოქმედებით თუ სპორტულ საქმიანობას.

იურიდიული ფაკულტეტი მაქსიმალურად ცდილობს შეინარჩუნოს ძველი ტრადიციები და ამასთან, უზაფხოს იმ ურთულეს გამოწვევებს, რომელიც ცივილური საზოგადოების სწრაფი განვითარებისა და გლობალიზაციის ურთულესი პროცესით არის განპირობებული. განათლებული საზოგადოება არის მყარი გარანტი მშვიდობის შენარჩუნების, დემოკრატიის, ჰუმანურობის და სამართლიანობის პრინციპების განუხრელი გატარებისათვის. იმისათვის, რომ იყოთ წარმატებულები და გაითავისოთ ეს მეტად მნიშვნელოვანი ღირებულებები, რომელიც განათლების გარეშე მიუღწეველია, ამ განათლების საუკეთესო არჩევანი ნამდვილად არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისი ერთ-ერთი ფაკულტეტის - იურიდიული ფაკულტეტის სახით, ამიტომ გელოდებით, მობრძანდით!



განათლების ფაქულტეტი

წარმატებულია ქვეყანა - წარმატებულია ოჯახი - წარმატებულია სკოლა

ტრადიციული „დამგროვებელი“ განათლება „პრობლემის დასმის“ განათლებით შეიცვალა.

ბედნიერი ანუ სრულფასოვანი და ნაყოფიერი ცხოვრებისათვის ადამიანს სჭირდება არა მარტო დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა, არამედ მის მიერ არჩეული სფეროში დაოსტატება, საკუთარ თავში პატიოსნების, ერთგულების, სიმამაცისა და სამართლიანი განსჯის უნარის გამოუმუშავებისაკენ სწრაფვა.

- განათლება ცოდნის მიღებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების შედეგია;

- აღზრდა პიროვნების მიზანდასახული ფორმირება;

პედაგოგის მოვალეობაა სწავლება-სწავლის პროცესის ორგანიზება და მასში მოსწავლის აქტიური ჩართვა.

მასწავლებლებო:

- დემოკრატიული საზოგადოებისათვის საჭირო, აქტიური სამოქალაქო ცნობიერების მქონე პიროვნების ჩამოყალიბება;

- გონებაგახსნილი მამულიშვილების აღზრდა;

- მზადყოფნა მრავალგვარი პასუხისმგებლობისათვის;

- აქტიური მდგომარეობა;

- გარემომცველი სამყაროს გარკვეული ხედვა;

- უწყვეტი თვითგანათლების სურვილი.

დაწყებითი სკოლა - პიროვნების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საფეხურია. მასწავლებელი ამ დროს თიხის მკეთებელ მეთუნედ მოიხარება. სწორედ მასზეა დამოკიდებული, როგორი გაიზრდება მოსწავლე: გულქვა, უგულო, მრისხანე, ბოროტი, როგორც უხეში ქოთანი თუ იბრწყინებს, როგორც ხელმარჯვე ოსტატის მიერ გამოქერხილი კოხტა სურა.

ძვირფასო აბიტურიენტებო,

დადგა დღე, როცა თქვენ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ. მომავალი პროფესიის სწორად არჩევა თქვენი წარმატებული ცხოვრების საწინდარია. არჩევანის გაკეთება რთულია, რადგან საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ამ მხრივ არც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტია გამონაკლისი.

განათლების ფაკულტეტი ახორციელებს დაწყებითი განათლების, სპორტის, მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს, განათლების ადმინისტრირების, უმაღლესი განათლების მენეჯმენტის და საბაზო და საშუალო სკოლის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს, აგრეთვე, განათლების სადოქტორო პროგრამას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი რეგიონული უნივერსიტეტია, რომელიც დაფუძნებულია პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე და აქვს 80 წლიანი გამოცდილება. ამ და სხვა მრავალი მიზეზიდან გამომდინარე, ბსუ საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი მოთხოვნი უნივერსიტეტი.

მხოლოდ ბოლო წლის მონაცემებით რომ ვიმსჯელოთ, 2013 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად დაწყებითი განათლების სპეციალობაზე გამოცხადებულ 60 ადგილზე სულ დარეგისტრირდა 1410 აბიტურიენტი, მათ შორის პირველადი არჩევანი გააკეთა 122 აბიტურიენტი. სპეციალობის ისტორიას თუ გადავხედავთ, ფაქტობრივად არც ერთ პერიოდში არ დაფიქსირებულა ვაკანსია გამოცხადებულ ადგილებზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მიმდინარე წლისგან განსხ-

ვავებით, 2013 წელს აღნიშნული სპეციალობა ჩვენს უნივერსიტეტში არ ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ. 2013 წლიდან ბსუ-ში ამოქმედდა განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რის შედეგადაც დაწყებითი განათლების სპეციალობაზე 2014 წლიდან სწავლა უფასო იქნება.

თუ თვალს გადავავლებთ ბსუ-ს კურსდამთავრებულთა დასაქმების ბოლო წლების მაჩვენებელს, შეიძლება ითქვას, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნი პროფესია რეგიონულ ბაზარზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი კურსდამთავრებულნი დასაქმებული არიან არა მხოლოდ აჭარის, არამედ მთლიანად დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, რასაც ხელს უწყობს საჯარო და კერძო სკოლებთან უნივერსიტეტის აქტიური თანამშრომლობა და პედაგოგიური პრაქტიკის მნიშვნელოვანი წილი საგანმანათლებლო პროგრამაში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის იმპერიის პირველი კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი ამბობდა „ომის იგებს არა მხედართმთავარი, არამედ სკოლის მასწავლებელი“. გენიალური პოლიტიკოსი არ გულისხმობდა პირდაპირი მნიშვნელობით საომარ მოქმედებებს. თუკი ჩვენ სერიოზულად ჩავუფიქრებთ ჩვენს მომავალს, დავრწმუნდებით, რომ ცხოვრება ბრძოლაა და იმისათვის, რომ თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში გავუძლოთ ახალ გამოწვევებს, არ ჩამოვრჩეთ პროგრესს და ამასთან შევინარჩუნოთ ჩვენი თვითმყოფადობა, ბრძოლა გვესაჭიროება და ამ ბრძოლაში წამყვანი ძალა სკოლის პედაგოგებია. პედაგოგი კი უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა მოამზადოს.



გონივრული არჩევანი

ცხოვრებაში დგება პერიოდი, როცა არჩევანის წინაშე დგახარ, რაზეც არის შენი მომავალი დამოკიდებული. სწორედ არჩევანის წინაშე დავდები მაშინ, როცა ვირჩევდი პროფესიას. არჩევანი გავაკეთე დაწყებითი განათლებაზე, რადგან მასწავლებლობის სურვილი ჩემი პირადი ინიციატივისა და ჩემი პირველი მასწავლებლის სიყვარულით იყო განპირობებული. მინდა, რომ მე თვითონ აღვზარდო ბავშვები და გადავცე ცოდნა-გამოცდილება, რაც მე შევიძინე. ეს პროფესია იმდენად ძლიერი მხარეებით წარმომედგინა და არის კიდევ, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი სწორედ ამ პროფესიაზეა დამოკიდებული.

ჩემი მოლოდინი პირველი კურსიდანვე გამართლდა. ველოდებოდი ბევრ მუშაობას, ახლის შესწავლას, სამეცნიერო კვლევებს. ველოდებოდი, რომ პროფესორები, ლექტორები სიახლეს შეიტანდნენ ჩემს ფიზიკურ, გონებრივ განვითარებაში და ფაქტი სახეზეა. დღეს მე ვარ მესამე კურსის სტუდენტი და ვგრძნობ, როგორ ვიზრდები ჩემი პროფესიის შესწავლით. ვღებულობ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, რაც მიყალიბებს აზროვნებას, თემის წარმოჩენისა და პრეზენტაციის უნარებს, რაც მნიშვნელოვანია პედაგოგისათვის.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაძლევს იმის საშუალებას, რომ ვიყო პროფესიონალი, ასევე მაძლევს საშუალებას შევისწავლო სწავლების თანამედროვე მეთოდები, რაც განსხვავდება სკოლაში ადრე არსებული ტრადიციული სწავლებისაგან. უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა არ შემოიფარგლება თეორიით და მას პრაქტიკული განხორციელება ახლავს. დაწყებითი განათლების სტუდენტებს გვაქვს სხვადასხვა სკოლაში ღია გაკვეთილის ჩატარების საშუალება. მიღებული ცოდნა მომცემს იმის საშუალებას, რომ დავაქმდე და ვიყო წარმატებული პედაგოგი წარმატებულ სკოლაში.

ჩემმა არჩევანმა ვთვლი, რომ საკმაოდ გაამართლა და მივალწევ დასახულ მიზნებსაც. ეს პროფესია მაძლევს საშუალებას ვიყო ხელოვანი, რომელსაც საკუთარი საქმის კეთება არასდროს მოეზრდება.

ელისო გოლძეაძე
დაწყებითი განათლების III კურსის სტუდენტი



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტი



bsu.edu.ge



ეკონომიკისა და ბიზნისი ფაკულტეტი 2014 წელს არსებული სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნისისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის რეორგანიზაციის საფუძველზე შეიქმნა. მისი შექმნა განაპირობა მასში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების აქტუალურობამ, მათი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ადეკვატური ორგანიზაციული სტრუქტურის, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის აუცილებლობამ. ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური 27 აკადემიური პერსონალით. ფაკულტეტზე ამჟამად სწავლობს 1240 სტუდენტი.

ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები: ფინანსები, საბუღალტრო და საგადასახადო საქმე, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ეკონომიკა. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა სრულ სახელმწიფო დაფინანსებას იღებს.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები: ფინანსები და საბანკო საქმე, ეკონომიკა, ბიზნისის ადმინისტრირება კონცენტრაციებით: ბიზნეს კომუნიკაციის მენეჯმენტი; მარკეტინგი; ბიზნისის ორგანიზაცია და მართვა; საერთაშორისო ბიზნისი.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები: ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი, ბიზნისის ადმინისტრირება, ეკონომიკა.

რება, ეკონომიკა.

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს პროფესიული საბუღალტრო სკოლა.

ყოველდღიურად იზრდება ბიზნისის სფეროსათვის, ზოგადად ფინანსური ეკონომიკისათვის კვალიფიციური ეკონომისტების მომზადების მოთხოვნა. ქვეყანაში უდავოდ არსებობს უზარმაზარი მოთხოვნა არამხოლოდ მენეჯერებზე, არამედ იმ ადამიანების არსებობაზე, რომლებიც იცნობენ და პრაქტიკაში შემოქმედებითად იყენებენ ეკონომიკისა და ფინანსების თანამედროვე თეორიებს, აქვთ სწავლებისა და კვლევის უნარ-ჩვევები, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ფუნდამენტური ეკონომიკის პრობლემების განხილვა-ანალიზში და განვითარებაში. სწორედ ამგვარი სპეციალისტების ჩამოყალიბების ამოცანის გადაჭრაში წვლილი შექონდა, შეაქვს და მომავალში შეიტანს ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტი. ფაკულტეტზე არსებობს საერთაშორისო კონფერენციების ჩატარების ტრადიცია, რაც გაგრძელდება მომავალშიც და ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევების განვითარებას. ფაკულტეტზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე ყოველწლიურად მუშავდება სტუდენტური პროექტები.

სწავლების ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში ფაკულტეტის სტუდენტები გაცვლითი პროგრამებით სწავლას აგრძელებენ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში. სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის მიზ-

ნით ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების ხელფასიდან ყოველთვიურად ირიცხება თანხები სოციალურად დაუცველ სტუდენტთა დახმარების ფონდში. წარჩინებულ სტუდენტებს ენიშნებათ საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სემესტრული და სახელობითი სტიპენდიები.

ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის ძლიერი მხარეებია:

- პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პედაგოგიური პოტენციალი;
- საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება სწავლების სამივე საფეხურზე;
- პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა აკადემიური მოტივობის, მათ შორის საერთაშორისო, გამოცდილება;
- სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მაღალი პოზიციები საერთო საუნივერსიტეტო რეიტინგებში;
- საერთაშორისო თანამშრომლობა;
- სადისერტაციო საბჭო;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;
- პროფესიული სკოლების არსებობა;
- სახელმწიფო პროგრამული დაფინანსება.

ჩვენი ფაკულტეტის არჩევით მიიღებთ ხარისხიან, განათლებას, ეზიარებით საინტერესო სტუდენტურ ცხოვრებას და წარმატებულ მომავალს!

ფაკულტეტის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად მივიჩნევთ ფაკულტეტის მისიით განსაზღვრული ამოცანების რეალიზაციას. კერძოდ, დროის მოთხოვნათა შესაბამისი კადრების მომზადებას, მაღალი პროფესიონალიზმის დამკვიდრებას, განათლების სისტემის რეფორმის შესაბამისად დიფერენცირებული სწავლის პრინციპების დაუყოვნებლივ დანერგვას, ფაკულტეტის სპეციალური, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფას, სწავლების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას და განვითარებას, სწავლების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების აქტიურ გამოყენებას, მაღალკვალიფიციურებული სპეციალისტების მოწვევას უცხოეთის სასწავლო ცენტრებიდან, საქართველოსა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტების ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებთან ურთიერთობების დამყარებას გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის შექმნა ჩვენს უნივერსიტეტში განაპირობა მასში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების აქტუალურობამ, მათი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ადეკვატური ორგანიზაციული სტრუქტურის, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის აუცილებლობამ. ეკონომიკისა და ბიზნისის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებით (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სპეციალისტების მომზადების აქტუალურობა განპირობებულია შერეული, მრავალწილობიანი, სოციალურად ორი-

ენტირებული საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური ინსტიტუტებისა და ურთიერთობების ჩამოყალიბების შეუქცევადი ხასიათით. ეკონომიკური და ფინანსური რეგულირების რისკების წარმოშობის პირობა ეკონომიკური და ფინანსური არასტაბილურობა, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ინტერვენციების მოლოდინი, სპეკულაციური ზენოლა სარგებლის მისაღებად და ა.შ. ამ საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობს ყველა აგენტი - სახელმწიფო, ბიზნეს-სამყარო, სამოქალაქო საზოგადოება. თითოეულ მათგანს საკუთარი ინტერესი გააჩნია, რომლის კვინტესენციაა მისწრაფება ფულადი შემოსავლების სტაბილურობისაკენ და გაზრდისაკენ. შესაბამისად, გაჩნდა და ყოველდღიურად იზრდება არა მხოლოდ ბიზნისის სფეროსათვის, არამედ ზოგადად ფინანსური ეკონომიკისათვის კვალიფიციური ეკონომისტების მომზადების მოთხოვნა. ქვეყანაში უდავოდ არსებობს უზარმაზარი მოთხოვნა არამხოლოდ მენეჯერებზე, არამედ იმ ადამიანების არსებობაზე, რომლებიც იცნობენ და პრაქტიკაში შემოქმედებითად იყენებენ ეკონომიკისა და ფინანსების თანამედროვე თეორიებს, აქვთ სწავლებისა და კვლევის უნარ-ჩვევები, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ფუნდამენტური ეკონომიკის პრობლემების განხილვა-ანალიზში და განვითარებაში. სწორედ ამგვარი სპეციალისტების ჩამოყალიბების ამოცანის გადაჭრაში წვლილი შექმნდა, შეაქვს და მომავალში შეიტანს ჩვენი, ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტი.

ბაქნოლოგიის სფეროში მიღებული განათლება დასაქმების გარანტია

ტექნოლოგიური ფაკულტეტი, რომელსაც დიდი ხნის ისტორია გააჩნია, ყოველთვის იზიდავდა აქტიურ, საფუძვლიანი ცოდნის მიღების მსურველ ახალგაზრდებს. ჩვენს ფაკულტეტს დიდი შესაძლებლობა აქვს იმისა, რომ სტუდენტებს მისცეს არა მხოლოდ თანამედროვე განათლება, არამედ ჩამოუყალიბოს მათ ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას საინჟინრო და აგრარული საქმიანობის სფეროში. ჩვენთან ხორციელდება საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიული აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამები. მათ თავისებურებას განაპირობებს ძირითად სასწავლო კურსებთან ინტეგრირებული მართვის ავტომატიზირებული სისტემების ისეთი საინჟინრო კომპიუტერული პროგრამები, როგორცაა: AutoCAD, LIRA, MATHCAD, MATLAB, C++, SAP 2000...., რომლებიც პასუხობენ ტექნიკისა და ტექნოლოგიების თანამედროვე მოთხოვნებს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი გაცვლითი პროგრამების საშუალებით ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საზღვარგარეთ, უცხოეთის ნამყვან უნივერსიტეტებში.

ფაკულტეტს საინჟინრო და აგრარული ტექნოლოგიების მიმართულებით მჭიდრო ურთიერთობა აქვს ევროპის ნამყვან უნივერსიტეტებთან, მათ შორის: ბრანდენბურგის ტექნოლოგიური უნივერსიტეტთან, ებერსვალდეს მდგრადი განვითარების უმაღლესი სასწავლებლებთან, ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტთან, სტოკჰოლმის სამეფო ტექნოლოგიური უნივერსიტეტთან.

უცხოური გამოცდილების საფუძველზე არის ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტზე ორგანიზებული სასწავლო პროცესი და ჩვენთან, ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამები ორი მიმართულებით - ინჟინერიისა და აგრარული მიმართულებით ხორციელდება. სტუდენტთა განათლების სრულყოფას ემსახურება კვალიფიცირებული კადრები, რომელიც წარმოდგენილია 37 პროფესორისა და დაახლოებით ამდენივე მონვეული სპეციალისტის სახით. ტექნოლოგიური ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ოთხი დეპარტამენტი: ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტი, ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მენეჯმენტის დეპარტამენტი, აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტი და აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტი.

ტექნოლოგიური ფაკულტეტი საბაკალავრო დონეზე ახორციელებს შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს: მშენებლობა (სრული სახელმწიფო დაფინანსებით), არქიტექტურა, ტელეკომუნიკაცია, ტრანსპორტი, სამთო და გეოინჟინერია, აგრონომია (სრული სახელმწიფო დაფინანსებით), სასურსათო ტექნოლოგია, სატყეო საქმე, აგროინჟინერია. სამაგისტრო საფეხურზე ხორციელდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები: სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა, ტელეკომუნიკაცია, ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები, აგრარული ტექნოლოგიები. სადოქტორო საფე-

ხურზე სწავლის მსურველებს ვთავაზობთ - სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობასა და აგროეკოლოგია მცენარეთა დაცვის პროგრამებს. ფაკულტეტზე სრული სახელმწიფო დაფინანსებით ხორციელდება IV საფეხურის შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: მშენებლობის მწარმოებელი, არქიტექტორ-ტექნიკოსი, კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCAD) ოპერატორი, სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორი, ელექტროამძრავისა და ელექტრომომარაგებელი დანადგარების ოსტატი, ნავთობის და გაზის მეურნეობის ტექნიკოსი და მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი.

ჩვენი უპირველესი მიზანია, ტექნიკისა და ტექნოლოგიების თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მოვამზადოთ ამ დარგებისათვის მაღალკვალიფიციური კადრები. მათი დასაქმების ძირითადი სფეროებია: სამშენებლო კომპანიები (მშენებელი, არქიტექტორი, სამუშაოთა მწარმოებელი, ინჟინერი), ნავთობის ტერმინალები, გაზისა და გაზსადენების კომპანიები, სატრანსპორტო საშუალებები და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა, სატელეკომუნიკაციო ქსელები, აგროსერვის-ცენტრები, ფერმერული მეურნეობები და სხვ. ფაკულტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რეგიონის ნამყვან საინჟინრო და აგრარული მიმართულების კომპანიებთან, რომლის საფუძველზეც სტუდენტები გადიან სანარმოო პრაქტიკასა და სტაჟირებას, ასევე ტექნოლოგიური ფაკულტეტზე აქტიურად მუშაობს სტუდენტთა დასაქმების პროგრამაც, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ რეგიონში არსებული კომპანიები.

ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტური ცხოვრებაც სიახლეებით დატვირთული, მიმზიდველი და საინტერესოა, ფაკულტეტზე არსებული სტუდენტური თვითმოქმედი კოლექტივები აქტიურად არიან ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ტექნოლოგიური ფაკულტეტი მრავალი ნაშრომისა და ღონისძიების ინიციატორი და ავტორია. გასულ წლის ოქტომბერში, ჩვენი ფაკულტეტის ინიციატივით ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, პროფესორმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექციები წაიკითხა. ტექნოლოგიური ფაკულტეტის ორგანიზებით მოწეყო ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ჯემალ ბერიძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ რეზო სტურუას შემოქმედებითი საღამო.

ტექნიკისა და ტექნოლოგიების სფერო საკმაოდ რთული, მაგრამ ამავდროულად ყველაზე დასაქმებადი სფეროა, ამიტომაც იმ აბიტურიენტებმა, რომლებიც სწავლას გააგრძელებენ ტექნოლოგიური ფაკულტეტზე უნდა გააცნობიერონ, რომ ტექნოლოგიების სფეროში მიღებული განათლება დასაქმების გარანტიაა და ჩვენი კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები არიან ტექნოლოგიების ნებისმიერ სფეროში.





ვანო პაპუნშიძე

დაბადებიდან 75 და სამეცნიერო, პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წელი

ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტ ვანო პაპუნშიძის 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვანო პაპუნშიძეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოში აგროსატყეო და ზოგადი ბიოლოგიური მეცნიერების დარგების განვითარებაში, გამოქვეყნებული აქვს 120-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 21 მონოგრაფიული ხასიათის ნიჭი. მკვლევარს იუბილე მიულოცეს და წარმატებები უსურვეს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეებმა ირაკლი ბარამიძემ, ნათია ნიკლაშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვიციანიძემ, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა, კოლეგებმა და მეგობრებმა.



2015 წლის 10 თებერვალს, დაბადებიდან 75 წელი და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის 50 წელი შეუსრულდა გამოჩენილ მეტყვე-ეკოლოგს, საქართველოს დამსახურებულ მეტყვევს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტს, ღირსების ორდენის კავალერს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ვანო პაპუნშიძეს.

თავიდანვე ამჩნევდა ვ. პაპუნშიძის დიდ უნარს შემოქმედებით შრომასა და მეცნიერულ მუშაობაში. ამიტომ ის ყოველმხრივ ცდილობდა ფართო შესაძლებლობა და გზა მიეცა მზარდი ახალგაზრდის მისწრაფებისათვის. ამ დროიდან, ვ. პაპუნშიძე მტკიცე ნაბიჯს დგამს მეცნიერებაში და თანმიმდევრებით მიიწვევს ნინ, ამ მეტად რთულ, ძნელ და ეკლიან გზაზე. 1972 წელს ვ. პაპუნშიძე წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას და ერთხმად ენიჭება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ტანიკური ბალის დირექტორია, ამავე დროს ხელმძღვანელობდა მეცნიერებათა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის სამეცნიერო განყოფილებას. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მუშაობის 34 წლის მანძილზე (1976-2010წწ.) ვ. პაპუნშიძეს არ შეუწყვეტია ბოტანიკური ბაღისადმი ყურადღება და ზრუნვა. განუზომელია პროფესორ ვ. პაპუნშიძის, როგორც მეცნიერის და როგორც ხელმძღვანელის ღვაწლი, ამაგი და დამსახურება ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფლორისტული შემადგენლობის მცენარეთა სახეობრივი შემადგენლობის გამ-

მებაღეობისათვის ძვირფასი სწრაფმზარდი ეგზოტიკის ბიოლოგიური თავისებურებების და სეზონური განვითარების რიტმის შესწავლას, აჭარის ტყის ეკოსისტემების ანთროპოგენურ ცვლილებათა და მათი პროდუქტიულობის ამაღლების ეკოლოგიური საფუძვლების შემუშავებას, ბათუმის ბოტანიკური ბაღის მცენარეთა ინტროდუქციის შედეგებს, აჭარის მცენარეული რესურსების და ეკოლოგიური პოტენციალის ტრანსფორმაციის, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების, აჭარის ზღვისპირეთში სუბტროპიკულ და ტროპიკულ მცენარეთა ინტროდუქციის კანონზომიერების, საქართველოს სუბტროპიკულ კლიმატურ ზონაში მცენარეთა ინტროდუქციის ეკოფიზიოლოგიური თავისებურებების შესწავლის მეთოდოლოგიურ საკითხებს და სხვა.

პროფ. ვ. პაპუნშიძის მიერ, ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური კვლევის მრავალმხრივი შედეგებიდან გამომდინარე, დადგენილია, რომ მცენარეთა ინტროდუქციაში, განვითარების რიტმში უფრო ფართო მცენარეულ უნდა იყოს გაგებული, ვიდრე, საერთოდ, აქამდე იყო მიღებული. აქედან გამომდინარე, ის მიიწვევს, რომ განვითარების ფაზების ამჟამად მიღებული აღწერისას, მხედველობაშია მისაღები ამა თუ იმ ფენოლოგიური ფაზის ხანგრძლივობა, რომელიც, სხვადასხვა ბიომორფებს შორის, გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ძალიან განსხვავებულია და რომელსაც, სამეცნიერო, აქამდე, ნაკლები ყურადღება ექცეოდა.



უმნიშვნელოვანეს დებულებად შეიძლება ჩაითვალოს პროფ. ვ. პაპუნშიძის ორიგინალური დასკვნა იმის შესახებ, რომ თანამედროვე ბოტანიკური ადაპტაცია, ფართო გაგებით ატარებს, არა როგორც ადრე ეკო-მორფოლოგიურ, არამედ, ეკო-ფიზიოლოგიური მეცნიერების ხასიათს. ასევე, რომ დედამინის ატმოსფერული აუზი, ძალზედ და-

შრომითი საქმიანობა კოლმეურნეობაში რიგით წევრად მუშაობით (1958-1960 წწ.) დაიწყო.

ფუძველზეც, გააკეთა მეტად საინტერესო და ზუსტი ანალიზი საქართველოს სატყეო მეურნეობის განვითარების საკითხებზე, მის წარსულზე და თანამედროვე მდგომარეობაზე, გააკეთა პროგნოზი შორეული პერსპექტივისათვის. ვ. პაპუნშიძის მთელ შეგნებულ ცხოვრებასა და მოღვაწეობაში შეიძლება რამდენიმე მთავარი მიმართულება გამოიყოს. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია მისი სამეცნიერო მოღვაწეობა.

1967 წელს, ვ. პაპუნშიძეს თბილისის სატყეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში ასპირანტად ინიშნეს აკადემიკო-

რო ხარისხი. ამ ინსტიტუტში მას ნიშნავენ ჯერ ლაბორანტად, უმცროს და უფროს მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე. მეტად საინტერესო და ნაყოფიერი გამოდგა სატყეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში მუშაობა. ამ პერიოდში დამუშავებული სამეცნიერო შრომების უმეტესობა ეძღვნება სატყეო სანერგებში სტანდარტული სარგავი მასალის გამოყვანის ინტენსიფიკაციის ამაღლების საკითხებს, კოლხეთის დაბლობის დაჭაობებულ ტერიტორიაზე მაღალპროდუქტიული სამრეწველო დანიშნულების პლანტაციების შექმნის აგროტექნიკის და ტექნოლოგიის შემუშავებას, დასავლეთ საქართველოს ქარსაფარ ზოლებში გამოყენებულ მცენარეთა ხმობის მიზნების დადგენისა და ახალი ზოლების აღდგენის მეცნიერულ შესწავლას, მთის დეგრადირებულ სატყეო ფართობებზე ტყის კულტურების წარმოების და სატყეო-სამედიცინო-ლონისძიებების შემუშავების აქტიური საკითხების დამუშავებას.

დირების, ბალის ფიტოგეოგრაფიული განყოფილებების, პარკებისა და ლანდშაფტურ-დეკორატიული ობიექტების სრულყოფასა და განვითარებაში. მისი ხელმძღვანელობით, აქტიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარიმართა ადგილობრივი ფლორისა და ბუნების დაცვის, მცენარეთა სელექციისა და გენეტიკის, მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის, მეყვავილეობისა და დეკორატიული მებაღეობის და მცენარეთა დაცვის მიმართულებებით. უდიდესია ვ. პაპუნშიძის, როგორც მეცნიერის და ხელმძღვანელის ღვაწ-

ლი, ამაგი და დამსახურება საქართველოში ბიოლოგიური ცოდნის გავრცელების, უმაღლესი სასწავლებლების, მეცნიერ-მუშაკების და სტუდენტთა ახალგაზრდობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერის — ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფლორისტული შემადგენლობის, პარკების, ბალის ლანდშაფტურ-დეკორატიული ობიექტების სრულყოფასა და განვითარებაში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, პროფესორ ვანო პაპუნშიძის ძალისხმევა ბათუმის ბოტანიკური ბაღის ნაწილ-ნაწილ გასხვისების აღკვეთის საქმეში, რასაც ნაციონალური ხელისუფლება ლამობდა.



1965 წელს, ვ. პაპუნშიძემ წარმატებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიიპყრო მან ყურადღება, როგორც ნიჭიერმა და მიზანსწრაფულმა ახალგაზრდამ, ის, როგორც ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების აქტიური წევრი, მოხსენებთ ბევრჯერ გამოვიდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე. სტუდენტობის პერიოდში შესრულებულმა შრომებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ისინი გამოქვეყნდა სტუდენტთა სამეცნიერო შრომებში და დაჯილდოებულ იქნა ინსტიტუტის სპეციალური სიგელებით, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადდა მაღლობები.

სი ვასილ გულისაშვილი, სატყეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი. აქ მან, გამოჩენილი მეცნიერ-მეტყვევის, აკადემიკოს ვასილ გულისაშვილისა და ტყის კულტურების განყოფილების ხელმძღვანელის, პროფესორ ვლადიმერ მათიკაშვილის ხელმძღვანელობით მიიღო საფუძვლიანი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ტყეთმცოდნეობაში, მეტყვეობაში, ტყის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვა-აღდგენის სფეროებში. მისმა ნიჭმა, ერუდიციამ, საქმიანობის სიყვარულმა და უაღრესად სპეტაკმა, ადამიანურმა თვისებებმა სწრაფად მიიქცია ინსტიტუტის ხელმძღვანელობის და მთლიანი კოლექტივის ყურადღება.

1976 წლიდან, აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის და სხვა ცნობილი მეტყვე-ეკოლოგების იდეებზე აღზრდილი მკვლევარი ვ. პაპუნშიძე უბრუნდება თავის მშობლიურ მხარეს, - აჭარას და ინიშნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში. 1989-2006 წლებში, ვ. პაპუნშიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბო-



ბინძურებულია, რაც ქმნის იმის აუცილებელ საჭიროებას, რათა შესწავლილ იქნას მცენარეთა უჯრედებზე, ქსოვილებზე და მთლიანად, ორგანიზმზე აირების გავლენის მექანიზმი და ქიმიზმი. ამ განოკვლევებს, მრავალრიცხოვან სტატიებთან ერთად, მის მიერ მიქმდნა, ან თანაავტორობით გამოქვეყნებული მონოგრაფიები: „ბათუმის ბოტანიკური ბაღის სევი და ბუჩქები“-ის სამტომეული, „მცენარეუ ჯანმრთელი გარემოსათვის“, „იშვითი და გადაშენების პირას მისული ხეები და ბუჩქები საქართველოში“, „აჭარის ტყეები (კომპლექსური გამოყენებისა და აღდგენის პრობლემები“ და სხვა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (1965 წ.) ვ. პაპუნშიძე, როგორც მზარდი სპეციალისტი, გაიგზავნა საკავშირო გერთიანება „ტყეპროექტის“ ა/კ სატყეო-საპროექტო სანარმოში ინჟინრის თანამდებობაზე, სადაც, აკადემიკოს გიორგი გიგაურის ხელმძღვანელობით, იგი აქტიურად ჩაება საქართველოს სატყეო მეურნეობის განვითარების გენერალური სქემის შედგენაში. აქ მან თავი მოუყარა საქართველოს ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების საფონდო მასალებს, რის სა-



თუმის ბოტანიკურ ბაღში მუშაობის პერიოდში, ვ. პაპუნშიძემ საფუძველი ჩაუყარა კავშირულ გამოკვლევებს ტყის მეურნეობისა და დეკორატიული

ლო, ამაგი და დამსახურება საქართველოში ბიოლოგიური ცოდნის გავრცელების, უმაღლესი სასწავლებლების, მეცნიერ-მუშაკების და სტუდენტთა ახალგაზრდობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერის — ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფლორისტული შემადგენლობის, პარკების, ბალის ლანდშაფტურ-დეკორატიული ობიექტების სრულყოფასა და განვითარებაში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, პროფესორ ვანო პაპუნშიძის ძალისხმევა ბათუმის ბოტანიკური ბაღის ნაწილ-ნაწილ გასხვისების აღკვეთის საქმეში, რასაც ნაციონალური ხელისუფლება ლამობდა. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მუშაობის პერიოდში, ვ. პაპუნშიძემ საფუძველი ჩაუყარა კავშირულ გამოკვლევებს ტყის მეურნეობისა და დეკორატიული



პერიმეტრული მეთოდების გამოყენებით მათი მალაზხარისხიდან შესრულება, მაღალ დონეზე შეფასდა ცნობილი მეტყვე-ეკოლოგიის, რუსეთის ფედერაციის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ვალენტინ პროტოპოპოვის და აკადემიკოს ვეგენი ველიხოვის მიერ, რომელთა რეკომენდაციით, თემები შეტანილ იქნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ორ - „მთის ტყეების ეკოლოგიური ფუნქცია“ და „ეკოლოგია“ სექციაში, როგორც თანამშრომლებელი. თემები აგრეთვე შეტანილია იუნესკოს პროგრამა - „ადამიანი და ბიოსფეროს“ ეროვნული კომიტეტის პროექტებში.

რაც უფრო დრო გადის, მეცნიერი ვ. პაპუნინი რწმუნდება თუ რა უდიდეს აქტიურობას იძენს კვლევები წარსული და თანამედროვე მდგომარეობის ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე პრაქტიკული სატყეო სამეურნეო ღონისძიებების შემუშავება აჭარის რეგიონისათვის, სადაც ათეული წლების გან-

ლური ტყეთსარგებლობის (ტყის მთავარი სარგებლობის ჭრა, მოვლითი და სანიტარული ჭრა, სწრაფმოზარდი სახეობებისაგან სამრეწველო დანიშნულების პლანტაციების შექმნა, აგროტექნიკა, ტყის ბუნებრივი და ხელოვნური განახლება და ა.შ.) ინტენსიფიკაციის გაზრდა, თანამედროვე ტექნოლოგიისა და ტექნიკის გამოყენებით.

პროფ. ვ. პაპუნინის კვლევებში ბუნებრივი და ინტროდუცირებული მცენარეული რესურსების კომპლექსური გამოყენების ერთ-ერთ ფრიად საყურადღებო და ახალ საკითხს სამკურნალო, კულინარიული, ტექნიკური, დეკორატიული დანიშნულების მცენარეული სახეობების ბიოეკოლოგიური დახასიათება, მათი გავრცელების ადგილსამყოფელი, ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მახასიათებლების შესწავლა, მცენარეთა შეგროვება-გადამუშავების და პრეპარატების დოზების, ფარმაკოლოგიური და სამკურნალო გამოყენების შესწავლა წარმო-



აგროტექნიკისა და ტექნოლოგიის საკითხებს.

ამ გამოკვლევების საფუძველზე 1990 წელს, ვ. პაპუნინი დაიცვა სადოქტორო დისერტაცია - „აჭარის ტყის მცენარეულობის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მეცნიერული საფუძველები“ ორი სპეციალობით - „ბოტანიკა“ და „ეკოლოგია“ და მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი (1991 წ.). ამავე წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

საყურადღებოა, რომ პროფესორ ვანო პაპუნინის კვლევის სფეროში სათანადო ადგილს იკავებს საერთოდ ქვეყანაში და მის ცალკეულ რეგიონებში სოფლის მეურნეობის მიმართულების საკითხების შესწავლა. ამ დარგის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმართულების საკითხები უშუალოდ დაკავშირებულია მის შრომებში: „საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში შრომითი რესურსების და სანარმოო ფაქტორების გამოყენების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებები საბაზრო ურთიერთობების პირობებში“, „რჩევა-დარიგება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების პრაქტიკული რეკომენდაციები და წინადადებები (ქართული სოფლების აღორძინებით დაინტერესებული და დაზარალებული ფერმერთა დასახმარებლად)“, „საქართველო-თურქეთის ტრანსსასაზღვრო ეკოლოგიური პრობლემები“ და სხვა, რომლებიც დაბეჭდილია სპეციალურ სამეცნიერო-მეთოდურ შრომითა კრებულებში, აგრეთვე ცალკეული მონოგრაფიების სახით.

პროფ. ვ. პაპუნინი არის დიდი დიპლომატიის საზოგადო მოღვაწე, რომელმაც თავისი შემოქმედებით, ქვეყნით, ნიჭით და უნარით გაითქვა სახელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც. მას კარგად იცნობენ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, გერმანიაში, ბულგარეთში, აშშ-ში, თურქეთში, ირანში და ბევრ სხვა ქვეყანაში.

პროფ. ვ. პაპუნინი არის მეცნიერების კარგი ორგანიზატორი. იგი ფართო კავშირებს ამყარებს საქართველოს და საზღვარგარეთის ცნობილ მეცნიერებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან. იწვევს მათ აჭარაში, აცნობს რეს-

პროფ. ვ. პაპუნინი — კონფერენციებში, სესიებსა და შეხვედრებში. იგი საინტერესო მოხსენებებით გამოდის ევროპის — გერმანიის, ბულგარეთის, პოლონეთის, უნგრეთის, თურქეთის, ყოფილ საბჭოთა კავშირის (მოსკოვში, ბაუშეინოში, ალუშტაში, ვლადიკავკაზში, კამჩატკის პეტროპავლოვსკიში, ყირიმში, ბაქოში, მინსკში). მრავალი მისი მოხსენება დაიბეჭდა ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებზე. მისი ინიციატივით მოწყო არაერთი გამსვლელი სამეცნიერო საბჭოს სესიები და კონფერენციები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აჭარის ტყის მეცნიერულ საფარს, რომელსაც ქვეყნის ბუნებრივ რესურსებს შორის პირველი ადგილი უჭირავს თავისი მრავალფუნქციონალური როლის შესრულების და სახალხო მეურნეობრივი დანიშნულების მხრივ, ძალზედ ცოტა თუ ყოლია ვანო პაპუნინისთანაა გულშემატკივარი და თაყვანისმცემელი. იგი საქმიანად და სიტყვიერად თავგამოდებით იბრძვის აჭარის მთის ტყეების გადარჩენისათვის. ზემოთ აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობის 50 წლის განმავლობაში გა-

და სატყეო საქმის მიმართულების ხელმძღვანელი.

პროფ. ვ. პაპუნინი ასწავლის არა მარტო სტუდენტებს, არამედ სისტემატურად ამზადებს ასპირანტებს, მაძიებლებს, დოქტორანტებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, ბიოლოგიის დარგში, ძირითადად ვანო პაპუნინის მონაწილეობით არიან დაკომპლექტებული. მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში შედის აგრეთვე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის საბჭოს ხელმძღვანელობა. არის მრავალი დისერტაციის (საკანდიდატო, სადოქტორო) ოფიციალური ოპონენტი.

2009 წლიდან პროფ. ვ. პაპუნინი ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონულ სამეცნიერო ცენტრს.

1988 წელს, პროფესორ ვანო პაპუნინს ანიჭებენ საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მეტყვევის საპატიო წოდებას.

2001 წლის იანვარში, პროფ. ვ. პაპუნინი არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრობის კანდიდატად. არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.

ასეთი დაუღალავი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობით გახდა პროფ. ვ. პაპუნინი დიდი მეცნიერი და მომავალი სპეციალისტების და სამეცნიერო კადრების სამეცნიერო მეთაური, რომლებმაც წარუშლელი და მუდამ განათლებული კვალი დაწინა გამოყენებითი ბიოლოგიის სამთო სატყეო და აგრორულ მეცნიერებას.

პროფესორ ვ. პაპუნინს, როგორც



მავლობაში ბუნებასარგებლობაში დაშვებული უხეში შეცდომების გამო დარღვა მთის მცენარეულობის ბიოლოგიური კავშირები, ბიოგეოცენოლოგიის მდგრადობა, წყალდაცვითი, ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი, ზედასწრაფი და სხვა ეკოლოგიური ფუნქციები. ძირითადად სწორედ ამით აიხსნება ის კოლოსალური მატერიალური ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი, რაც უკანასკნელ ათწლეულებში მოხდა აჭარაში ბუნების სტიქიური პროცესების გააქტიურების გამო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აჭარის ამ რთული რეგიონისათვის, სადაც მის ცალკეულ ხეობებშიც კი სრულიად განსხვავებული სურათი გვხვდება პროფესორ ვ. პაპუნინი, უკვე მალადაკვალაფიციერებული, გამოცდილი მკვლევარი და პრაქტიკოსი, მთელი მონღომებით და ენთუზიაზმით, ერთ-ერთი პირველი, იკვლევს სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან მთლიან კომპლექსში, ამ მხარის სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და მცენარეული რესურსების რაციონალური გამოყენების, მათი დაცვის არც ასე ადვილად გადასაწყვეტ პრობლემებს.

ამ მიზნის მიღწევისათვის, იგი დაბეჯითებით სწავლობს რესპუბლიკის დაბლობ და მთის რაიონებში მცენარეულობის ზრდა-განვითარების ეკოლოგიურ პირობებს: მსოფლიო ლიტერატურული წყაროების, საფონდო, საუნჯებო და სხვა მასალების განზოგადების და ანალიზის, აგრეთვე მდიდარი საკუთარი გამოკვლევების საფუძველზე, საზოგადოების ყველა გაზრდილი, მრავალმხრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, იძლევა რესპუბლიკის ტყეების წარსული და თანამედროვე ფუნქციების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ძირითად ტყის გავლენას, დაბლობის პირობებში და სხვადასხვა ვერტიკალურ სარტყლებში, უმეტესად გავრცელებული ტყის ტიპების სამეურნეო ჯგუფებში განახლების პროცესების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას. ავლენს სასარგებლო მეცნიერულ დასკვნებს, აბორიგენულ და ინტროდუცირებულ მერქნიან მცენარეთა სახეობების, როგორც უნიკალური გენეტიკური ფონდის მწვანე მშენებლობაში გამოყენების შესაძლებლობებს. კვლევების შედეგები საფუძველად დაედო, მაღალპროდუქტიული კორუმების ფორმირებისა და ზრდისათვის ოპტიმალური კლიმატური და ნიადაგური პირობების განსაზღვრას, რაციონა-

ადგენს. ამ საკითხებზე მის მიერ და თანავტორობით გამოქვეყნებულია მრავალტომიანი მონოგრაფიები, როგორც სახელმძღვანელოები, არა მარტო მკითხველთა ფართო წრის, არამედ პრაქტიკოს ექიმთათვის, სამედიცინო ბიოლოგიის პროფესორთათვის, მოსწავლე ახალგაზრდობის, სტუდენტების და მკვლევართათვის.

იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, მეცნიერული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვას, რომლებიც აჭარის მეცნიერული რესურსების დაცვას, მათ კვლავწარმოებას და აღდგენის საკითხებს ეხება. მის მიერვე შედგენილია მრავალი მეთოდური რეკომენდაცია, რაც მთავორიან პირობებში, ხელს შეუწყობს ტყეების სტაბილურობის შენარჩუნებას, მათი პროდუქტიულობის გაზრდას. იგი პირველად ადგენს ეკონომიკური, ეკოლოგიური და ტყეების დაცვითი ფუნქციების გაუმჯობესების თვალსაზრისით, ცალკეული რეგიონებისათვის ტყისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს, დაამუშავა, დეგრადირებული, მეჩხერი და დაბალი სიხშირის კორუმების აღდგენისა და რეკონსტრუქციის რეკომენდაციები, პერსპექტიული ინტროდუცენტებისა და მერქნიანი აბორიგენული სახეობების დანერგვის, პლანტაციების შექმნის, სოფლის მეურნეობის



მიზნისათვის დაცვითი ტყეების, მწვანე მშენებლობის, ტყის ზედა საზღვრების მაღლა აწევის, პროგრესული სამეურნეო ღონისძიებები. თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შესწავლილი პრობლემები, რომლებიც მოიცავს, კოლხეთის სუსტად დაჭარბებულ ტერიტორიებზე ინტროდუცირებული, სწრაფმოზარდი, მერქნიანი ჯიშების სამრეწველო დანიშნულების, მაღალპროდუქტიული პლანტაციების შექმნის,

პუბლიკის ბუნებრივ-ისტორიულ პირობებს, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ თავისებურებებს და მათთან ერთად აკეთებს სათანადო დასკვნებს, ამუშავებს წინადადებებს და მისაღებ რეკომენდაციებს სოფლისა და ტყის მეურნეობაში, მწვანე მშენებლობასა და საუნჯებო ორგანიზებში მომუშავე სპეციალისტებისათვის, თვით სადირექტივო ორგანიზების ჩათვლით. მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო და რეგიონულ 60-ზე მეტ სამეცნიერ-



მოქვეყნებული აქვს 120-მდე სამეცნიერო ნაშრომი. მრავალრიცხოვან სამეცნიერო და საგაზეთო სტატიებთან ერთად მის კალამს ეკუთვნის 21 მონოგრაფიული ხასიათის ნიგანი, რომელთაგან აღსანიშნავია: „აჭარის ტყეები (კომპლექსური ათვისებისა და აღდგენის პრობლემები)“, „იმეათი და გადაშენებამდე მისული ხეები და ბუჩქები საქართველოში (მათი დაცვისა და აღდგენის ღონისძიებები)“, „საქართველოს ტყის სამკურნალო მცენარეები“, „ბათუმის ბოტანიკური ბაღის ხეები და ბუჩქები (ანოტირებული სია)“, „ბათუმის ბოტანიკური ბაღის ხეები და ბუჩქები“-ს სამტომეული, „კივი“, „ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორიული ნარკვევი (მეგზური)“ და სხვა.

პროფ. ვ. პაპუნინის შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია პედაგოგიური და აღმზრდელი მონაწილეობა. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს დიდი ჯიხაძისა და ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ბათუმის სამედიცინო ეკოლოგიურ ინსტიტუტში.

პროფესორ ვანო პაპუნინის პედაგოგიური მუშაობა განსაკუთრებით გაიშალა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მას აქ 1992 წლიდან, როგორც სრულ პროფესორს, ნაკითხული აქვს ლექციების კურსი 20-ზე მეტი დასახელების სხვადასხვა საგანში.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია პროფესორ ვანო პაპუნინის მოღვაწეობა როგორც უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის

გამოჩენილ მეცნიერს, ირჩევენ მთელ რიგ კომისიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. იგი არჩეულია იუნესკოს პროგრამის „ადამიანი და ბიოსფერო“ საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრად (1978); სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის „მეტყველების პრობლემები“ საბჭოს წევრად (1983); საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების წევრად და საზოგადოების აჭარის განყოფილების ხელმძღვანელად (1999); საქართველოს ბოტანიკური ბაღებისა და პარკების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად (1999) და სხვა კომისიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

პროფესორი ვანო პაპუნინი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

პროფ. ვ. პაპუნინისათვის დამახასიათებელია პიროვნული მაღალი კულტურა, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული, შემოქმედებითი შრომა, ობიექტურობა და მაღალი ზნეობრივი თვისებები, პასუხისმგებლობა, ყოველ ვითარებაში საიმედო მეგობრული თანადგომა და დახმარება. არის მკაცრი და პრინციპული, საინტერესო მოსაუბრე და კომუნიკაბელური, უაღრესად დახვეწილი და ტაქტიკური ადამიანებთან ურთიერთობაში. იგი შესანიშნავი მეოჯახე, მამა, ბაბუა და მეუღლეა.

ვულოცავთ ვანო რაფიელის ძე პაპუნინს 75-ე წლისთავს და ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და შემდგომ წარმატებებს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო



„ერევანელი ოქროს საწმისი კოლხეთში - რეგენა, რომელიც გრძელდება“



1971 წელს ირანის ქალაქ რამსარში მიიღეს კონვენცია „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ“. კონვენცია პირველი გლობალური საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც მთლიანად ეძღვნება ერთი ტიპის ეკოსისტემას — ჭაობს.

მას შემდეგ, ყოველწლიურად, 2 თებერვალი აღინიშნება. როგორც ჭარბტენიანი ტერიტორიების საერთაშორისო დღე. ამ მხრივ გამოწვევის არც საქართველოა. ჩვენი ქვეყანა რამსარის კონვენციას შეუერთდა 1996 წელს. ქვეყანაში გამოიყო ტერიტორიები — ცენტრალური კოლხეთისა (იმნათის, ნაბადასა და ჭურის ჭაობები) და ისპანის ჭაობი ქობულეთის დაბლობში, რომლებმაც მიიღეს საერთაშორისო ჭაობის მნიშვნელობა.

სწორედ ერთ-ერთი მათგანი, ქალაქ ქობულეთის ჩრდილოეთით, შავი ზღვის გასწვრივ, სანაპიროდან, კერძოდ ფიჭვნარის ეკოპლაჟიდან დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს. ეს არის 331 ჰა ფართო-

რი ხავსი. იგი მთლიანად არასოდეს იფარება წყლით. სფაგნუმი წყალთან ერთად ქმნის სრულიად გლუვ გუმბათს ყოველგვარი ბორცვაკების გარეშე, რომელიც შემოგარენიდან 4-5 მეტრით მაღლაა წამოწეული. ხავსი აქ ისე მოქმედებს, როგორც ღრუბელი. მას შეუძლია ნონასთან შედარებით 25-ჯერ მეტი რაოდენობის წყალი შეინახოს. ძლიერი კოქისპირული წვიმებისას, როცა არეზარე წყლითაა დაფარული, ამ დროს ისპანი-ილ „გუმბათი“ მშრალია.

ამრიგად, ტორფნარებს დიდი წყალმარეგულირებელი და წყალშემკავებელი ფუნქცია აქვს. სფაგნუმის ხავსი ღრუბელივით შეისრუტავს რა დიდი რაოდენობით წყალს, ხანგრძლივი დროით აკავებს მას და ამით ხელს უწყობს წყლის რეჟიმის ნორმალურ რეგულაციას, საგრძნობლად ამცირებს ძლიერი წყალმოვარდნის საშიშროებას და იცავს ხმელეთის ზედაპირს წარცხვებისაგან.

ისპანის ტორფნარს უდიდესი როლი

გარდა ამისა, ქობულეთის ტორფნარებს სხვა, მეტად მნიშვნელოვანი ღრუბულეებზეც გააჩნიათ. ისინი ინახავენ უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ძეგლებს. ისპანის ტორფქვეშ 1964 წელს, სადრენაჟე არხის გათხრისას, აღმოჩენილი იქნა ნამოსახლარები, რომლებიც ძვ. წ. IV და III ათასწლეულის მიჯნის დროინდელია. აქ 5-6 ათასი წლის წინ დასახლებულა ადამიანი, მაშინ როცა ეს ადგილი არ იყო დაჭაობებული.

ჭაობი, ასევე, უზრუნველყოფს კლიმატური პირობების სტაბილიზაციას, აკავებს ეროზიას და ინარჩუნებს ადგილობ-

და ჭარბტენიანი მიწები, მათ ფარგლებში არსებულ მდინარეებთან, ტბებთან და შავი ზღვის აკვატორიასთან ერთად, ქმნიან განსაკუთრებული დანიშნულების რეგიონს, რომელზეც გადის აზია-აფრიკის წყლისა და ჭაობების გადამფრენი ფრინველების ერთ-ერთი გზა. ამ რეგიონში ბუდობს, იზამთრებს, ან გადაფრენის დროს ხანმოკლე დროით ჩერდება ათეული სახეობის ფრინველი, რომელთა ნაწილი ამჟამად გადაშენების პირას არის მისული და გულმოდგინე დაცვას საჭიროებს.

ამრიგად, კოლხეთის ტორფნარები და მიმდებარე რელიქტური ტყეები სრულიად

კვალიფიციური ლექცია-საუბრების ჩატარებით, ვიზიონერებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ჭაობურ ლანდშაფტებს, გააცნობიერონ, რომ ამ ლანდშაფტების შენარჩუნება საზოგადოების ყველა წევრის მოვალეობაა.

სწორედ, აქედან გამომდინარე, რომ ეს ადგილები მეცნიერული კვლევის უშრეტესი წყაროა. რამდენიმე წლის წინ, ჩვენს უნივერსიტეტში ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის განყოფილება. მის შესწავლას მიუძღვნა არა ერთი საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო ნაშრომი, გამოქვეყნებულია შესაბამისი სტატიები ქართველი თუ უცხოური მეცნიერების მიერ. სამეცნიერო კვლევები, ერთობლივი პროექტები გერმანიის გრეფსვალდის უნივერსიტეტთან, ტორფნარების კონსერვაციის საერთაშორისო ჯგუფთან და ექსტრაორდინალურ პროფესორთან ჰანს იუსტენთან დღესაც გრძელდება. სწორედ, მან აღმოაჩინა და მსოფლიოს გააცნო მსოფლიო უნიკალური პერკოლაციური ტიპის ისპანი 2 და იმნათის ტორფნარები. 2012 წელს ჰანს იუსტენმა კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციაში (UNCCF), შეიტანა ცალკე პუნქტი — „ტორფი“, როგორც კონსერვაციისა და კლიმატის ცვლილების რეგულაციაში მონაწილე ბიორესურსი“ და არა როგორც „ტორფი — საწვავი ან სასუქი“.



რივ ბიომრავალფეროვნებას. 1997 წლიდან, ის რამსარის კონვენციის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე, მიგრირებადი და მოზამთრე ფრინველების დასახლებული მნიშვნელოვანი ჭარბტენიანი ტერიტორია.

ქობულეთის დაცული ტერიტორიების ჭაობი მრავალი იშვიათი და გადაშენების პირას მდგარი მცენარეთა და ცხოველთა სახეობების საცხოვრებელი ჰაბიტატი. ქობულეთის დაცული ტერიტორიების ტორფიანი ჭაობის საერთო ფონს ქმნის ტორფის ხავსები — სფაგნუმის სახეობები, ე.წ. „იმერული ისლი“, რინხოსპორები (თეთრი რინხოსპორა, კავკასიური რინხოსპორა), ტორფის ისლი, წყლის სამყურა, მრგვალოფოთლო დროზერა და ზოგიერთი სხვა სახეობები. ამ მცენარეთა უმეტესობა ჩრდილოური (ბორეალური) ნარმოსპოსაა და კოლხეთში მოხვდა მეოთხეული პერიოდის გამყინვარების ეპოქებში. აქაურ ტორფიანი ჭაობებში იზრდება კოლხური მცენარეებიც: შქერი, იელი, ეკალიჭი და სხვ. ქობულეთის ალკეტილში ასევე გვხვდება იშვიათი სახეობის სამეფო გვიმრაძე.

აკმაყოფილებენ UNESCO -ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უზნის ნომინაციის მთავარ კრიტერიუმებს: მსოფლიო უნიკალურობა, გეოლოგიური ნარსული და ცოცხალი ეკოსისტემები, სახეობათა და ეკოსისტემების უნიკალური გლობალური ბიომრავალფეროვნება.

2009 წელს საქართველოში გამართულ საერთაშორისო კონგრესზე „ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და კლიმატის ცვლილება“, გერმანიის გრეფსვალდის

და ბოლოს, მიმდინარე წლის 2 თებერვალს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტში დაიცეს საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სემინარი. სემინარის მონაწილეებმა, ისაუბრეს ტორფნარების როლისა და მათი დაცვის მნიშვნელობაზე, შემდგომ კი ინსტიტუტის ტერიტორიაზე ჰარტისისა და იმერული მუხა ჩათესეს,



ბის, საერთაშორისო მნიშვნელობის უნიკალური ჭარბტენიანი ტერიტორია — ისპანი II, რომელსაც ბუნებაში უდიდესი და მრავალმხრივი ფუნქცია აქვს.

ნარსულში ადამიანებს ჭაობი მიაჩნდათ აშშ-მრავალფეროვანად, მალარიის კერად, რომელსაც ხალხისთვის მხოლოდ უბედურება მოჰქონდა. სამწუხაროდ, მოსახლეობის დიდ ნაწილს დღესაც ასეთი წარმოდგენა აქვს. სინამდვილეში, ჭაობი ბუნებრივი გარემოს ყველა კომპონენტის (რელიეფის, ჰავის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, მცენარეული საფარის და ა.შ.) ურთიერთქმედების შედეგია და ბუნების ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც ტყე, სტეპი, მდელო, უდაბნო, მდინარე, ტბა და სხვა.

ისპანი II ნარმოდგენს მსოფლიო უნიკალურ პერკოლაციური (პერკოლაციური ინგლ. - შეტანება, შეჭოვება) ტიპის ტორფნარს. ის მსოფლიოში პირველი უნიკალური ხელუხლებელი, ცოცხალი სფაგნუმის ტორფნარია. სადაც წყლის დანაკარგი მხოლოდ აორთქლებით ხორციელდება და საზრდოობს წვიმის წყლით. ისპანის ტორფნარი თითქოს ტბაა ნიადაგის ზედაპირის ზემოთ, რომელსაც საბანივით ახურავს 25-45 სმ სისქის სფაგნუმი — თეთ-

აკისრია რეგიონული და ლოკალური კლიმატის რეგულაციაში. იგი ჟანგბადის ამოუნურავი წყაროა და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ნახშირბადის შემცველი ორგანული ნაერთების ნარმომქმნის ციკლში. ჭაობის მცენარეების მიერ ატმოსფეროდან ნახშირორჟანგის შთანთქმის შედეგად ტორფნარებში აკუმულირდება სხვადასხვა ორგანულ ნაერთებთან დაკავშირებული ნახშირბადის დიდი რაოდენობა.



კოლხეთის ჭაობები და დაჭაობებული ტყეები (ჭაობის მდინარეებთან და ტბებთან ერთად) საიმედო თავშესაფარია მცენარეთა და ცხოველთა იშვიათი სახეობებისთვის. ფრიად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ კოლხეთის ზღვისპირა ჭაობები



უნივერსიტეტის პროფესორმა, ჰანს იუსტენმა კოლხეთის რეფუგიუმს უწოდა „დედგანდელი ოქროს საწმისი კოლხეთში - ლეგენდა რომელიც გრძელდება“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლხეთის ჭაობებს და დაჭაობებულ ტყეებს დიდი სამეცნიერო და მეცნიერებითი მნიშვნელობა აქვს. კოლხეთის ჭაობური ლანდშაფტები შეიცავენ მდიდარ და მეტად საინტერესო ბიო-გეოგრაფიულ და პალეო-გეოგრაფიულ მასალას, რომლის ანალიზი საშუალებას იძლევა გაირკვეს კოლხეთის თანამედროვე ფლორის თავისებურება, შემადგენლობა, განვითარების ისტორია, კლიმატის ცვალებადობა და ზღვის დონის რყევის ხასიათი ახლო გეოლოგიურ წარსულში. ამასთან ერთად, კოლხეთის ჭაობი და ჭარბტენიანი მიწები, სადაც სასწავლო შემეცნებითი ექსკურსიების მოწყობით,

შემდგომში დეგრადირებული ტორფნარი ტყის აღდგენის მიზნით. ნევიგენ ისპანის სფაგნუმის ტორფნარის რამსარ საიტს.

„კაცობრიობის მომავალი - ჭარბტენიანი ტერიტორიების კონსერვაციაშია, დავიცვათ ისინი ჩვენი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ. შემოგვიერთდით“ (02.02. 2015. ქობულეთი).

გუგული ღუმბაძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი

ივლიდა მამუჭაძე — ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი, კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი, ჭარბტენიანების ექსპერტი

ჩაქაპორი:
იოსებ სანიძე

საუბრალობა:
ნესტან მამუჭაძე



saredaqci o kol egia:
nana cecxl aZe, inga Samil iSvil i
naTia wkl aSvil i, nino dol iZe
murman gorgoSaZe,
davi T baraTaSvil i
guram Caganava, SoTa mamul aZe
gugul i dumbaZe, nugzar RomiZe

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში“
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7